1906 წ.
18 დეკემბერი

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

ახალი დროება

ორშაბათი

№ 6

ყოველკვირეული გაზეთი

№ 6

რედაქციის ადრესი:

თბილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. № 102.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე.

კანტორა ხელის-მოწერთათვის ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე პეტიტით—15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. რკინის-გზის მთავრობის ლოკაუტი. 2. მთელი რუსეთის მუშათა უპარტიო სიეზდი. 3. ფელეტონი. ანარხიზმი თუ სოციალიზმი. 4. კვირიდან კვირამდე. 5. მუშათა მოძრაობა და პროფ. კავშირები. თბილისი. 6. რუსეთი. 7. საზღვარ-გარეთ. 8. სტატისტიკა. 9. კავშირებში. 10. ღია წერილი „ზარის“ რედაქციას. 11. უმუშევრობა თბილისში. 12. სიტყვების ახსნა. 13 შეცთომის გასწორება. 14. განცხადებანი.

მოსამსახურეთა კავშირის უმუშევართა კომისია აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ: ნუ მოდიან თბილისში ადგილის საძებრათ, რადგან ადგილი არ იშოვება და უმუშევრები ისედაც ბევრია აქ.

რკინის-გზის მთავრობის ლოკაუტი.

ჩვენ საიმედო წყაროდან გავიგეთ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის-გზების სამხედრო უფროსს—ბ-ნ ნეიგებაუერს, თბილისის მთავარ სახელოსნოში განცხადებები გაუკრავს, რომლითაც ის 23 ამა დეკემბრის რიცხვში ითხოვს თბილისის სახელოსნოდან ყველა იმ მუშებს, რომელნიც გასულ წლის დეკემბრის გაფიცვებში მონაწილეობას ღებულობდენ და ისევ სამუშაოთ იქმნენ მიღებული ამ გასულ ზაფხულს,—აგრეთვე იმათაც, ვინც ამა 1906 წელს ახალათ მიიღეს.

პირველთა რიცხვი, როგორც ვიცით, 217-ზე მეტია, ხოლო დანარჩენთა კიდევ უფრო მეტი... ასე, რომ დასათხოვართა—ქუჩაზეგამოსაყრელთა რიცხვი 700-მდეა!..

ნეტა რა დაეშავა ამ საუკეთესო ნაწილმა თბილისის პროლეტარიატისა, რა შესცოდა რკინის გზის გამგეობას და მის თვითმპყრობელს—ბ-ნ ნეიგებაუერს? გაიფიცენ? ქუჩაში გამოვიდენ და მანიფესტაცია, ან დემონსტრაცია მოახდინეს? ან ბარიკადები ხომ არ ააშენეს და ემუქრებიან ნეიგებაუერების ციხე-სიმაგრეს? არც ერთი, არც მეორე და არც მესამე, მკითხველო!.. ისინი კვლავინდებურათ ოთხათ-მოკაკული მუშაობენ და მუშაობენ, რასაკვირველია, განსაზღვრულ დროს... მუშაობენ სინდისიერათ და შესაძლებისათ, თუ-კი რკინის გზის მთავრობა საკმაო მასალას აწვდის...

ბ-ნი ნეიგებაუერი-კი იძახის თურმე, რომ ორთქლ-მავალნი („პაროვოზები“) რიგიანათ ვერ დადიანო, მუშები რიგიანათ ვერ მუშაობენ და სხვა-და-სხვა ამგვარი წილადობილა... მარა, რომ ეს მართალი არ არის, ამას ახლა თვით მუშები-კი არა, მგონი, საზოგადოების ყველა ნაწილი უნდა გრძნობდეს... რკინის გზის მთავრობა თავს იკატუნებს, სიმართლეს არ ამბობს: საჭიროთ არ მიაჩნია, ან, შეიძლება, სახიფათოთაც მიაჩნდეს, პირბადე აიხადოს,—თუ რა მიზეზია, რომ დიდებულ შარშანდელ დეკემბრის რევოლიუციის წლის თავზე ასე უმასპინძლდება 700 მუშას, ამ შეგნებულ, მოწინავე რაზმს თბილისის პროლეტარიატისა... შავი რეაქციის წლისთავია, მისი დღესასწაულია,—და ბ-ნი ნეიგებაუერიც, როგორც ერთგული და თავგამოდებული მოღვაწე-გმირი ამ შავი დროებისა, პირველი იხდის ამ დღესასწაულს მთელი რუსეთის ყველა რკინის-გზების გამგეობათა შორის... იდღესასწაულეთ, ბატონებო, თქვენი დილაა, დილა ზამთრის დღისა, რომელიც ძლიერ მოკლეა და ჩქარა საღამოს მოგიახლოვებს...

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ბ-ნი ნეიგებაუერი, სარგებლობს-რა ბევრი საიდუმლო ცირკულიარებით „დიდებულ პრემიერ მინისტრის—ბ-ნ სტოლიპინისა,—პროვოკაციას ეწევა,—ალბათ, მოსურნეა—და დღეს, შეიძლება, ძალაც შესწევდეს,—ქუჩაში გამოყრილი რკინის-გზის მუშები თბილისის დანარჩენ პროლეტარიატთან და მის პარტიასთან ერთათ მოთმინებიდან გამოიყვანოს, ბრძოლის ველზე გამოიწვიოს...

მარა, გვგონია,—აქაც დიდათ შეცთება ჩვენი გმირი ბ-ნი ნეიგებაუერი... თბილისის პროლეტარიატი და მასთან რკინის-გზის მუშები საკმაოთ გამოცდილნი და გამოწრთობილნი არიან, რომ ვერ მიუხვდენ მას პროვოკაციას... პარტიასაც, გვგონია, საკმაოთ აქვს ძალა და ტაქტიკა, წასაგებ ომში დღეს არ გაყვეს ბ-ნ ნეიგებაუერებს... ამასთანავე ისიც უნდა დავსძინოთ აქ, რომ ახლა მეორე დუმის არჩევნების კამპანია იწყება და, ეჭვი არაა, რომ პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილის ქუჩაში გამოყრა დიდათ სანუკარია რეაქციის გასამარჯვებლათ... მარა, გვიანია, გვიანი, ბატონებო... რეაქციას ასეთი ხერხები ვერ უშველის,—და თუ უშველის, მხოლოდ წამიერათ, დროებით... „დუმა“—პარლამენტათ, სრულ-უფლებიან წარმომადგენელთა დაწესებულებათ პროლეტარიატს არასოდეს არ მიაჩნდა და არც დღეს მიაჩნია... ის მხოლოდ რუსეთის დიდი რევოლიუციის დიდებულ მსვლელობის გზაზე ერთი სხვა მრავალთა შორის პოზიციათაგანია... მაშასადამე, ბევრი სხვა პოზიციები რჩება კიდევ პროლეტარიატს და მთელ რევოლიუციონურ ხალხს თავის ბრძოლის განსაგრძობათ... და ის კიდეც განაგრძობს, თუნდაც „დუმა“ სულ ხულიგანების დარჩეს... თვითმპყრობელობის და ძველი რეჟიმის ასეთ ერთგულ და გადამეტებულ მოსამსახურეთ-კი, როგორიცაა ბ-ნი ნეიგებაუერი,—მანჯურიის „გმირების“—კუროპატკინისა და სტეტელის ბედი ეწევათ... რუსეთის ყველა რკინის-გზების მოსამსახურეთა საერთო კავშირი, ეჭვი არაა, გვერდში ამოუდგება თბილისელ ამხანაგ მუშებს და არ მისცემს ნებას—როსტოვსა, თუ სხვა ქალაქებში აკეთონ აქ გასაკეთებელი საქმე; ამით დაამტკიცებს ის პროლეტარიატის სოლიდარობას, ამით დაამტკიცებს, რომ დიდებული ოქტომბერ-დეკემბრის (შარშანდელი) დღეები, მისთვის, როგორც მთელი რუსეთისთვის, განმეორდება უფრო მეტი სიდიადით...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი რუსეთის მუშათა უპარტიო სიეზდი.

—

მუშათა სიეზდი!—რა მომხიბლავ სურათებს იწვევს ეს სიტყვები პირველ გაგონებაზე მკითხველის წარმოდგენაში. დიადი კრება, რომელზედაც მთელი რუსეთის პროლეტარიატის ნამდვილი წარმომადგენლები—პროლეტარები - იქნებიან. ის თვალსაჩინო „ფიზიკური“ გამოხატულება იქნება რუსეთის მუშათა კლასისა, მისი ინტერესების, მისი სოლიდარობისა. შეგნებულ და შეუგნებელ, მოწინავე და ჩამორჩენილ ადგილებიდან, — ყველა ერთად მოიყრის თავს და თავის სადა, მოუკაზმავი სიტყვებით ერთმანეთს თავის გრძნობებს, თავის აზრებს და შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ. ყველაფერს პროლეტარული ელფერი ექნება. რამდენი ძლიერების გამომხატველი იქნება ეს „მუშების კლასიური პარლამენტი“! რევოლიუციის მოწინავე რაზმი, რომლისა ანაც ძველ რეჟიმს არა ერთი მწვავე ლახტი მოხვედრია, რომელიც მას ბოლოსაც მოუღებს, აი ვისი ცოცხალი ნდობით იქნება ეს „პარლამენტი„ აღჭურვილი, აი ვისი ძლიერი ნება გამოითქმება იქ. მის ყოველ სიტყვას დაკვირვებით და პატივით მოისმენს—მტერიცა და მეგობარიც: თვითმპყრობელობა მის ნალაპარაკევში ამოიკითხავს თავის სასიკვდილო განაჩენს, პროლეტართა მასსის გული კი სიამაყით აივსება. ამ სიეზდზე პირველათ დავინახავთ პროლეტარიატს, როგორც ერთ მთელს, როგორც კლასს...

დიახ, მუშათა სიეზდს, როგორც სურათს, დიდი მიმზიდველობა აქვს. მაგრამ გადავალთ თუ არა „წმინდა ხელოვნების“ ნიადაგიდან „უშნო-ულაზათო სინამდვილეში“,—ჩვენს ფერად სურათს ჭრელ აზრთა სხვა-და-სხვაობის ჩრდილი მიადგება. ყველა ერთგვარათ არ არის მუშათა სიეზდით გატაცებული, მის მომხრეებში ბევრი უთანხმოება სუფევს; ეს, ვთქვათ, კიდევ არაფერი, მაგრამ არიან ისეთი რევოლიუციონერებიც, რომლებიც ენერგიული მოწინააღმდეგენი არიან მუშათა სიეზდისა. ხოლო თუ გავიგებთ ვინაა მისი მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე, გაკვირვება უფრო გაიზრდება. არიან ლიბერალები, რომლებიც სოციალდნმოკრატებს აჭარბებენ მუშათა სიეზდის ქადაგებაში და არიან სოციალდემოკრატები, რომლებიც თავგამოდებულათ ებრძვიან მუშათა სიეზდის იდეას. რა ამბავია, რატომ არ უნდათ ამ სოციალდემოკრატებს, მთელი რუსეთის მუშათა კრება მოხდეს. ნუთუ კადეტები უფრო გულშემატკივრები შეიქნენ მუშათა ინტერესებისა? ალბათ კითხვა ისე მარტივი არა ყოფილა, როგორც ეს პირველ შეხედვიოა სჩანს. საჭიროა ჩავუკვირდეთ.

სასაცილო იქნებოდა მუშებისთვის გვეთქვა: კარგი სანახავი იქნება თქვენი წარმომადგენლების ერთად შეკრება,—ის მტერს თვალს დაუყენებს და მოყვარეს გულს გაუხარებს,—მაშ ამოირჩიეთ წარმომადგენლები და სიეზდზე გაგზავნეთ. კრებას რაიმე მიზანი უნდა ჰქონდეს, გარდა „მხატვრული“ შემოქმედებისა; კრება კრებისათვის ვერ მიიპყრობს ფართო მასსის ყურადღებას.

მაშ რა მიზანი ექნება მუშათა სიეზდს? ამაზე ათასგვარ პასუხს იძლევიან მისი მომხრეები. ზოგი თითონ სიეზდს იმდენ მნიშვნელობას არ აწერს, რამდენსაც სიეზდისათვის მზადებას: დღეს პროლეტარიატის ფართო მასსას უსაქმობა ხრწნის,—რეაქციამ მისი მოწინავე ნაწილები ისევ ქვეშეთში ჩარეკა და განმათავისუფლებელი მოძრაობა ისევ ვიწრო კონსპირაციულ ჩარჩოებში ჩააყენა. საჭიროა პროლეტარიატს საქმე მივცეთ და თუ თვით ცხოვრებაში არ იპოვება, გამოვუგონოთ. საერთო დიდი საქმე მასსას აამოძრავებს და პოლიტიკურ ინტერესებს გაუღვიძებს. ასეთი მქადაგებლები მუშათა სიეზდისა მოგვაგონებენ იმ „ჭკვიან“ დედამთილს, რომელმაც თავის რძალს დილით საღამომდის ცხრილით წყალი აზიდვინა, სხვა საქმე არა არის რა და ისე ჯდომა-კი გააზარმაცებსო!

არიან ისეთებიც, რომლებსაც მუშათა სიეზდით რევოლიუციის ,,გახსნა'' უნდათ: რევოლიუცია მათი აზრით რაღაც ,,ტუპიკს'' მიადგა, რაღაც მოჯადოებულ, „მკვდარ წერტილზე“ შეჩერდა; საჭიროა პროლეტარიატი, ეს მთავარი რაში რევოლიუციისა ამ მკვდარ წერტილს შეეჭიდოს და რევოლიუცია ადგილიდან დასძრას. მუშათა სიეზდი იქნება ის ჯადოქარი, რომელიც რევოლიუციას ჯადოს ,,ახსნის'' და პროლეტარიატს ,,სისხლს გაუხურებს'' და რევოლიუციას გაათრევინებს.

არც პირველს და არც მეორე აზრს სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს. რევოლიუციონური მასსიური ,,საქმის გამოგონება'' ბავშური ჩხირკედელაობაა. თვით ცხოვრების სტიხია ბუნებრივათ ამზადებს ამ საქმეს თვით მასსის საშოში. საჭიროა, კაბინეტიდან გამოვიდეთ, შევებათ ამ სტიხიურ საქმეში და რაც კი შეიძლება მეტი შეგნება შევიტანოთ მასში. მეორე მხრივ, ის, ვითომდა ,,მკვდარი წერტილი'', რომელზედაც დღეს ვიმყოფებით, ესე იგი, გარეგანი სიმშვიდე მასსისა, ნამდვილათ რევოლიუციის ან დაქვეითებას ან შეჩერებას კი არ წარმოადგენს,—ის არის ერთი მხრივ დასვენება ძლიერი რევოლიუციონური ქარიშხლის შემდეგ ძალთა გროვება-დუღილი, მეორე მხრივ—რევოლიუციის სიღრმავის მომატება, რომელსაც ადრე თუ გვიან უფრო დიდი და ფართო აფეთქება უნდა მოჰყვეს, ვიდრე აქამდისინ ყოფილა როდისმე. და რომ ეს აფეთქება მოულოდნელი არ შეიქნეს, საჭიროა გამოანგარიშებული, საზრიანი და მოზომილი მზადება მისთვის. ხოლო მუშათა სიეზდისთვის მზადება მხოლოდ დასახელებული მიზნებით—ეს რევოლიუციონური საქმე კი არა, გართობაა, ,,ფანტის თამაშობაა“, რომელიც მასსას ნამდვილ ბუნებრივ რევოლიუციონურ საქმეზე გულს უცრუებს და რევოლიუციონურ ცრუმორწმუნეობას უნერგავს. და თუ ამ აზრების მქადაგეებს მომხრეები ჰყავს, ამის მიზეზი არის არა მათი მსჯელობის იდეიური მიმზიდველობა, არამედ იმ სურათების ,,მომხიბლაობა'', რომელსაც მუშათა სიეზდი თავისთავად, დღევანდელ პირობებზე დამოუკიდებლათ, იწვევს გულმარტივ მკითხველის გონებაში.

მაგრამ სიეზდის მომხრეთა შორის არის ცოტა უფრო საფუძვლიანი ხალხიც; და ასეთების წრიდან გაისმის მოწოდება მუშათა უპარტიო სიეზდისადმი ფართო მუშათა პარტიის შესაქმნელათ. რა საბუთები აქვთ ფართო პარტიის მქადაგებლებს, ამაზე შემდეგ.

შიო.

კვირიდან კვირამდე.

—

— **„დაუყოვნებლივ ბოლო უნდა მოვუღოთ ყოველივე უწესოებას, თავი დავანებოთ რეფორმებს და დუმისათვის მზადებას. ეხლა რეფორმებისა და დუმის დრო არ არის. დუმა მაშინ მოვიწვიოთ, როცა შინ და გარეთ მშვიდობიანობა დამყარდება“**. ასე გაჰკივის მოსკოვის შავრაზმული გაზეთი „მოსკოვსკია ვედომოსტი“. მიზეზი? რამ ააჩხაველა ბებერი ტურა გრინგმუტი? ის აშკარათ ამბობს: **„მოსალოდნელია იაპონიასთან ახალი ომი მოგვიხდესო“**. თავი დავანე-

ბოთ ყოველივე რეფორმას, თავი დავანებოთ დუმას, აღვადგინოთ ძველი, ბარბაროსული წეს-წყობილება, შემოვკრბეთ ყველა ერთგულნი შვილნი მეფის ტახტის გარშემო და გახრწნილ მთავრობის გატეხილ სახელის აღსადგენათ და ბურჟუა-კაპიტალისტთა ჯიბეების გასასქელებლათ, რამდენიმე ასი-ათას ჯან-ღონით სავსე რუსეთის შვილთა სისხლით მოვრწყოთ შორეულ აღმოსავლეთის მინდორ-ველიო. აი, რას ფიქრობს რუსეთის მთავრობა. გრინგმუტი უბრალოთ არ ჩხავის, ის კუდიანია. ის სუნით გაიგებს, რას ფიქრობს მთავრობა. ომი მართლაც რომ მოსალოდნელია! იაპონელები ენერგიულათ მოითხოვენ პორტსმუტის ხელშეკრულობის მუხლების შესრულებას. რუსეთის მთავრობას საძნელოთ მიაჩნია ამის შესრულება და უფრო ომი ეადვილება. ომი რომ უფრო ადვილია ჩვენი მთავრობისათვის,—ამას ლაპარაკი არ უნდა. თუ წინეთ სასაცილოთ დამარცხდა,—ამის მიზეზი ის იყო, რომ ვერ ყავდა კარგი, გამოცდილი გენერლები. ეხლა კი სულ სხვაა! სხვა გენერლებს, მაგ., მელლერ-ზაკომელსკის, პოლკოვნიკ რიმანს, გენერალ სკალონს, დუბასოვს და სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ალიხანოვ-ავარსკი რათ ღირს რუსეთის მთავრობისთვის იაპონელებთან ომში?! რაც ომი გათავდა, იაპონიის გენერლები ხომ უსაქმოთ იყვენ და თითქმის კიდეც დავიწყდებოდათ ყველაფერი. სულ სხვაა ჩვენი გენერლები! რაც ომი გათავდა, მას მერე სულ „პრაქტიკაში“ არიან! საწყალ ლინევიჩს ერთი წუთიც არ დაუსვენია შორეულ აღმოსავლეთიდან დაწყებული პეტერბურგამდი,—სულ ვარჯიშობდა. ალიხანოვ-ავარსკი ხომ გამოწაფულია და გამოწაფული! რომელი კუროკი ან ნოგი დაუდგება მას წინ! ჰო, და ასეთ გენერლების პატრონ მთავრობას განა გაუჭირდება ომის დაწყება?! მით უმეტეს, როცა მთელი რუსეთის ხალხი მზათ არის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს თავის ერთგულ მთავრობისთვის, როცა ხაზინაში ოქროები აღარ ეტევა და გურკო-ლიდვალ-ფრედერიკსებს „კლაზეტებში“ გადააქვთ შესანახათ, როცა ბეზობრაზოვ-კუროპატკინებს პირზე ნერწყვი ადგებათ ომის ხსენებით და ჯიბეებს იბერტყავენ, როცა მის ხელთ არის კეტებით შეიარაღებული,—პაგრომებში გაწრთვნილი „თეთრი გვარდია“ დუბროვინ-ბულაცელების მეთაურობით!.. სწორეთ, რომ ხელ-საყრელი იქნება მთავრობისათვის ეხლა იაპონელებთან ომის დაწყება, გატეხილი სახელის აღდგენა და „მაკაკების“ ღირსეულათ დასჯა?!. „კეტებით შეიარაღებული ჯარი... გაფხეკილი ხაზინა... გურკო-ლიდვალი... კუჭ გამხმარი გლეხები... რევოლიუცია... დასვენებული გენერლები... იაპონია და მისი ჯანი. ისეთ გაწრთვნილ გენერალს, როგორიც ალიხანოვია, განა იაპონია დაუდგება წინ?!. ხოლო უკეთუ უიარაღო იქნება. აბა, იარაღით გამოსვლა რა საკადრისია. დიდებული გენერალი უიარაღო ხალხის ჟლეტას არის ჩვეული და თუ იმ პირობაზე დათანხმდებიან იაპონელები, რომ იარაღს არ იხმარებენ, რუსეთის მთავრობამ აღარ უნდა დაყოვნოს და ეხლავე დაიწყოს ომი.

— ომი, ომი და ომი... როცა რუსეთის მთავრობა დაიბადა თურმე შუბლზე გამოყვა დახატული მათრახი, თოფ-ზარბაზანი, კეტი და ზედ-წარწერა: „შენს სიცოცხლეში ომობდეო“. აბა ბედის-წერას ხომ თავის დღეში ვერ აუვლის გვერდს ადამიანი და რუსეთის მთავრობაც მას აქეთია სულ ომობს და ომობს. როცა ახალგაზდა იყო უფრო გარეულ მტრებთან ერჩოდა გული. ხოლო როცა დაბერდა, კბილები ჩასცვივდა, ხმალი აღარ უჭრის და სიკვდილის პირათ ძევს, შინაურებს დაერია. მარა, აქაც მხოლოდ დაბალ ღობეს მიადგა, უფრო ადვილი გადასახტომიაო. შიმშილისაგან მიკნავებული გლეხები უფრო ადვილი დასამარცხებელიაო და იმათზე მიაქვს იერიში. თუ რა რიგ მამაცურათ იქცევა მთავრობა სოფლათ, ამის შესახებ საკმარისია მოვიყვანოთ ერთი სოფლის დედაკაცის წერილი. წერილს სწერს ნოვგოროდის მაზრის სოფლის დედაკაცი თავის დას: „საყვარელო დაო! 16 ოქტომბერს ჩვენ სოფელში მოვიდენ ისპრავნიკი, მამასახლისი და „ვოლოსტის“ მწერალი. ისპრავნიკს თან ახლდა თორმეტი დარაჯი და ორი ურიადნიკი. ყველა შეიარაღებული იყო. ურიადნიკებს ხმლები და „ლიველრები“ ქონდათ, დარაჯებს თოფები და ზედ წამოგებული ხიშტები. საყვარელო დაო, იცოდე რა მდგომარეობაში ჩავვარდით, შიშით ყველას გული გაგვისქდა. გვეგონა,—ეს არის დაგვხოცეს ყველანი. მარა, რომ დავეხოცეთ,—უკეთესი იქნებოდა. მოგვდგენ და წაგვართვეს ყველაფერი: თივა, საძოვარი, ქვაბები და სხვა. მთელ სოფელში ტირილი და თავში-ცემა იყო. თითქმის იმასაც კი არ კითხავდენ გლეხებს,—დარჩათ თუ არა რამე მეორე დღისთვის საჭმელათ. აგვიწერეს ყველაფერი: ცხენი, ძროხა, ცხვარი და სხვა. 23 ამ თვეს იჯარით გაგვიყიდიან ყველაფერს. ოცდა ათ მანეთათ ღირებულ ძროხას 15 მანეთათ ყიდიან, 15 მანეთათ ღირებულ სამოვარს 2—3 მანეთათ. აი, რა საშინელი დრო დაგვიდგა, საყვარელო დაო! სულს გვხდიან გადასახადისთვის. ამბობენ,—ვითომ ასეთი ბრძანება მისცა შინაგან საქმეთა მინისტრმა ერობის უფროსს და იმან კიდევ მამასახლისს. ჩვენ აგვიწერეს ძროხა და ცხენი. სამოვარი წაიღეს, თვითონ მამასახლისმა წაიღო. არ გეწყინოს საყვარელო დაო, რომ ყველაფერს გწერ, არ ვიცით, რა ვქნათ“... მაშ, რა ქნას,—ერთი, რომ ბედის-წერაა და მეორეც... ფულები აკლია მთავრობას და, რამდენიც შესაძლებელია, შინ მოაგროვებს, და, თუ არ ეყო, გარეთ იშოვნის...

— „**ხაზინა სავსეა, ფულები არ გვესაჭიროება, არავითარი სესხი არ გვინდა და ყოველივე ხმები სესხის შესახებ სიმართლეს მოკლებულიაო**“,—დიდის რიხით აცხადებს ჩვენი მთავრობა. „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“,—იმისი არ იყოს, მართალია, დაუჯერებენ, რომ მთავრობას ფულები არ აკლია, გურკო-ლიდვალს კიდევ ბევრი გადარჩათ ხაზინაში და არც ერთ სახელმწიფოსთან სესხის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ ქონია... ყოველივე ეს სიმართლეა, მარა ისიც სიმართლეა, რომ, მენდელსონისა და ლომბერის (როტშილდის სიძე) მეთაურობით, ბანკირები ქუდ-მოგლეჯილი აქეთ-იქით დარბიან და ცდილობენ,—როგორმე რუსეთს 800 მილიონი მანეთი უშოვნონ. უმთავრესათ პარიჟში ტრიალებენ ბანკირები, რადგან იმედი აქვთ, რომ იქ იშოვნიან ფულებს. ამ ვაჟბატონებს მუდმივი დამოკიდებულება ქონიათ თურმე გრაფ ვიტესთან... და თუ ბედმა გაუღიმათ და 800 მილიონი ხელთ იგდეს... ვიტე ისევ ამოცურდება რუსეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე...

— მართლაც, რომ ვიტეს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა სულზე მისწრება იქნება რუსეთის მთავრობისთვის... ის ისეთი გაქნილი, გაიძვერა და თვალთმაქცი კაცია, რომ უეჭველათ იშოვნის 800 მილიონს და დაიხსნის მთავრობას გაჭირვებიდან. ბევრ უმეცარს კიდეც გაუკვირდება: რათ უნდა მთავრობას ამდენი ფულიო? მარა, მან არ იცის, თუ რა უჯდება ჩვენს ერთგულ მთავრობას მისი ერთი ქვეშევრ-

დომის მოვლა-პატრონობა. უბრალო საქმე ხომ არაა ამოდენა სახელმწიფოს მართვა? ჟანდარმები... ჯალათები... ციხე... ციმბირი... თოფ-ზარბაზნები... ტყვია-წამალი... გურკო-ლიდვალი... ფრედერიქს-ესტერნი და სხვა... განა ყველა ამისთვის ცოტა ფულია საჭირო? უბრალო მომაკვდავმა როგორ უნდა გაიგოს,—რა უჯდება მთავრობას ერთი ურიადნიკის შენახვა? ურიადნიკი ხომ საჭიროა? გოროდოვოი ხომ საჭიროა? დიახ, საჭიროა, და მათ შესანახათ ფულებიც საჭიროა. სხვა არა იყოს-რა ჯაშუში? უჯაშუშოთ გაძლება განა შეუძლია მთავრობას? თუ გინდ არც ურიადნიკი, არც გოროდოვოი არ არის საჭირო, ჯაშუშ-ჟანდარმები-კი აუცილებლათ სჭირია ჩვენ მთავრობას და კიდევაც ამიტომ ის ყოველ წლობით მეტ თანხას სდებს მათთვის და, რაკი ფული არ ყოფნის, ისესხებს, მაშ რას იზამს?! მერე, იცით რამდენი ფულები იხარჯება რუსეთის ხალხის დასაცველათ?! აი, მაგალითი: 1902 წელს ჯაშუშ-ჟანდარმ-პოლიციელებზე დახარჯულა 93 მილიონ 187 ათას 205 მანეთი; 1903 წელს—99 მილიონ 792 ათას 633 მანეთი; 1904 წ.—114 მილიონ 727 ათას 78 მანეთი; 1905—106 მილიონ 692 ათას 697 მანეთი; 1906—131 მილიონ 228 ათას 849 მანეთი. მართალია, ეს ამოდენა ფულები ხალხის ზურგიდან აღებულია, ხალხის სისხლი და ოფლია, მარა, განა თავის ჯიბეში ხომ არ იდებს მთავრობა,—ისევ ხალხის საკეთილდღეოთ ხმარობს... ჯაშუშ-ჟანდარმ-პოლიციელები... უტვინო გენერლები... დამსჯელი რაზმები... აუარებელი სატუსაღოები და სხვა... ყველა ესენი ხალხის ფულით ინახება...

— ხალხის ზურგიდან აღებულ ფულებს მთავრობა ისევ ხალხს ახმარს. ვისთვის არი მთავრობა?—ხალხისთვის ვისთვის ყავს მას ჯაშუშები?—ხალხისთვის. ვისთვის ყავს დამსჯელი რაზმები და უტვინო გენერლები?—ხალხისთვის. ვის ებრძვის მთავრობა?—ხალხს. მაშასადამე, მას სრული უფლება ქონია ხალხის ფული ხალხის წინააღმდეგ მოიხმაროს. დღევანდელი მთავრობა რომ არ იყოს, რა ეშველებოდა საწყალ რუსეთის ხალხს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო სხვა-და-სხვა კანონების გამოცემა რათ ღირს?! კანონებს ხომ ხალხისთვის სცემს მთავრობა? აი, ეხლა, მაგალითათ, მთავრობამ გამოსცა კანონი (კანონ. დებ. 133 მუხ.), რომლის ძალითაც,—უკეთუ ვინმე ზეპირათ ან ბეჭდვითი სიტყვით გაბედავს და მოიწონებს რამე „ბოროტ-მოქმედებას“ (რას ეძახის მთავრობა „ბოროტ-მოქმედებას“ ყველასათვის აშკარაა), 2—8 თვემდე ციხეში ამოალპობენ. ასე რომ ამ კანონს, როგორც უნდათ და რა დროსაც უნდათ, ისე მოიხმარებენ. საკმარისია რამე წამოგცდეს ამა თუ იმ მოქმედების შესახებ, რომ დამნაშავის სკამზე წამოგასკუპონ. ესეც შეიძლება, რომ არაფერი არ თქვა, იტყვიან—იმიტომ არას ამბობს, რომ მოსწონსო და იგივე დღე დაგადგება. ერთი სიტყვით 133 მუხლს, როგორც უნდა გადააბრუნ-გადმოაბრუნო სულერთია, მუდამ გამოიყენებენ და მთავრობაც ეცდება გამოიყენოს საჭიროების დროს... დაუღალავათ შრომობს ჩვენი მთავრობა!..

— მთავრობა ხომ მთავრობაა, მარა ჩვენს ქალაქის მამებს რომ არც არავინ დაღალვას უჯერებს და არც არავინ მათ დიდებულ ღვაწლს აფასებს,—აშკარაა. თავდადებულმა შრომამ ძლიერ მოქანცა ჩვენი ქალაქის ხმოსნები და აგერ თითქმის, თბილისში თვითმართველობის შემოღების დღიდან, კრებებს აღარ ესწრებიან თურმე. რა ხრიკი არ იხმარეს, რა საშუალებას არ მიმართეს თურმე, მარა არ იქნა და არა,—ვერ მიიზიდეს „უპრავისკენ“ ხმოსნები. ხან-და-ხან მოხდება ისეთი ბედნიერი შემთხვევა, რომ მოიყრიან თავს, მარა, რამდენიმე დამთქნარების შემდეგ, დარბაზიდან ქურდულათ მიიპარვიან და აუარებელი საზოგადო კითხვები გაურჩეველი რჩება. აბა, ერთიც ვთქვათ, ვინ ბრიყვი გაუმტყუნებს მათ! ერთიც ვნახოთ, შეგროვდენ ყველა ხმოსნები, ერთიც ვნახოთ, უცბათ გამოჩნ-

ფელეტონი

ანარხიზმი თუ სოციალიზმი? *)

I

დიალექტიური მეტოდი.

მაშ ასე. ჩვენ ვიცნობთ ახლა დიალექტიურ მეტოდს, ჩვენ ვიცით, რომ ამ მეტოდის აზრით, ქვეყანაზე მუდმივი არაფერი არაა, ყველაფერი იცვლება, ქვეყანა მუდმივს მოძრაობასა და ნგრევა-შენებაშია და—მაშასადამე—ყოველივე მოვლენა, როგორც ბუნებაში, ისე ცხოვრებაში, მის მოძრაობასა და ნგრევა-შენებაში უნდა განვიხილოთ...

ვიცით აგრეთვე ის, რომ თითონ ამ მოძრაობას ორგვარი ფორმა ჰქონია: ევოლიუციონური და რევოლიუციონური...

როგორ უყურებენ ანარხისტები დიალექტიურ მეტოდს?

ყველამ იცის, რომ დიალექტიური მეტოდის მამამთავარი ჰეგელი იყო,—მარქსმა მხოლოთ გააუმჯობესა და გასწმინდა იგი. თქმა არ უნდა, რომ ეს გარემოება ანარხისტებმაც იციან, იციან აგრეთვე ის, რომ ჰეგელი კონსერვატორი იყო, და აი, ამბობენ შემთხვევით: ისინი თავგამოდებით ლანძღავენ ჰეგელს, როგორც „რესტავრაციის“ მომხრეს, ისინი გატაცებით „ამტკიცებენ“, რომ „ჰეგელი რესტავრაციის ფილოსოფოსია... რომ აბსოლიუტურ ფორმაში ის ქებათა ქებას ასხამს ბიუროკრატიულ კონსტიტუციონალიზმს, რომ მისი ისტორიის ფილოსოფიის ზოგადი იდეია დაქვემდებარებულია და ემსახურება რესტავრაციის ეპოქის ფილოსოფიურ მიმართულებას“ და სხვა-და-სხვა ამისთანები (იხილე „ნობათი“ № 6. ვ. ჩერქეზიშვილის წერილი).

ამასვე „ამტკიცებს“ თავის ნაწერებში ცნობილი ანარხისტი კრაპოტკინი (იხ. მაგალითათ, მისი „მეცნიერება და ანარხიზმი“, რუსულ ენაზე).

კრაპოტკინს ერთხმათ ბანს აძლევენ ჩვენებური კრაპოტკინისტები, ჩერქეზიშვილიდან დაწყებული ვიდრე შ. გ—მდე (იხ. „ნობათის“ ნომრები).

მართალია, აქ მათ არავინ ეკამათება, პირიქით, ყველა დაეთანხმება, რომ ჰეგელი რევოლიუციონერი არ იყო; მართალია, თითონ მარქსმა და ენგელსმა ყველაზე უფრო ადრე „დაამტკიცეს“ თავიანთ „კრიტიკული კრიტიკის კრიტიკაში“, რომ ჰეგელის „ისტორიული შეხედულობა ძირიანათ ეწინააღმდეგება ხალხის თვითმპყრობელობას“,—მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ანარხისტები მაინც „ამტკიცებენ“ და საჭიროთ სცნობენ ყოველ დღე „ამტკიცონ“ რომ ჰეგელი „რესტავრაციის“ მომხრეა. რატომ იქცევიან ასე? ალბათ იმიტომ, რომ ყველა ამითი სახელი გაუტეხონ ჰეგელს და მით მკითხველს აგრძნობინონ, რომ „რეაქციონერ“ ჰეგელს მეტოდიც „საზიზღარი“ და არამეცნიერული ექნებოდა.

ასე ფიქრობენ ანარხისტები დიალექტიური მეტოდის გაბათილებას.

*) იხ. „ახ. დროება“ № 5.

და ...ერთი კაზაკი და... ერთი ლაზათიანათ დააცხინკვა... მაშინ? ვა! ღმერთმა დაიფაროს... ხომ გაუსქდათ გული ღიპიანებს! სად უნდა ჩაძვრენ? სად გაიქცენ? ის არა სჯობია შინ არხეინათ იჯდე და ქალაქის საქმეები მეწყერსაც წაუღია. ასეც იქცევიან ჩვენი ქალაქის მამები, მარა რომ არ უსვენებენ? ამ ბოლო დროს აუხირდენ მათ ავლაბრელები და, გინდათ თუ არა, კრებაზე უნდა მოხვიდეთო. ერთხელ არ მივიდენ. ავლაბრელებმა კიდევ უფრო დაჟინებით მოითხოვეს,—მისულიყვენ (გაუნათლებელი ხალხია ავლაბრელები, არ გაემტყუნება), რაკი ამან არ-გასჭრა, ადგენ და პროკლამაციებით მიმართეს ხმოსნებს,—გინდათ თუ არა,—უსათუოთ უნდა მოხვიდეთ 11 დეკემბერს კრებაზეო. ახირებულია სწორეთ! რა საჭიროა იყო პროკლამაციების გამოშვება, რომ შესაძლებელი იყოს, განა ისე არ მოვიდოდენ ხმოსნები? მარა სახიფათოა!.. ერთიც ვნახოთ, მოხთა რამე! მაშინ?! მაშინ ხომ გულები დაუსქდათ ხმოსნებს და ხომ ლოგინათ ჩავარდენ! მერე? მერე და ხომ დაიღუპა ქალაქის საქმეები!.. თუ პროკლამაციამ არ გასჭრა, საინტერესოა, რა ხერხს გამოიგონებენ რომ „ჩვენი მამები“ „უპრავაში“ მიიტყუონ...

მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები.

თ ბ ი ლ ი ს ი.

თბილისის რკინის-გზის მუშების მიმართ. იყო დრო, როდესაც ჩვენ, მუშებს, ჩირათაც არავინ გვაგდებდა; იყო დრო, როდესაც ყოველივე ჩვენი ადამიანური ღირსება ფეხ-ქვეშ იყო გათელილი; ყველა ჩვენი ბატონ-პატრონი იყო, ყველა ჩვენს ზურგზე ბუქნას და მალაყს გადადიოდა, ყველა ჩვენი სისხლითა და ოფლით ცხოვრებდა... ხაზეინის წინაშე არ შეგვეძლო კრინტი დაგვეძრა, ვინაიდან მოგველოდა ადგილიდან დათხოვა და ქუჩაზე სიმშილით სიკვდილი. პოლიციის წინაშე არ შეგვეძლო ხმა ამოგვეღო, რადგანაც გველოდა

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ გზით ისინი ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ, გარდა თავიანთი უხეირობისა: პასკალი და ლეიბნიცი რევოლიუციონერები არ იყვნენ, მაგრამ მათგან აღმოჩენილი მატემატიკური მეტოდი მეცნიერულ მეტოდათაა დღეს აღიარებული; მაიერი და ჰელმგოლცი რევოლიუციონერები არ იყვნენ, მაგრამ მათი ფიზიკური აღმოჩენანი საფუძვლათ დაედო მეცნიერებას; არც ლამარკი და დარვინი იყვნენ რევოლიუციუნერები, მაგრამ მათმა ევოლიუციონურმა მეტოდმა ფეხზე დააყენა ბიოლოგიის მეცნიერება... რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ არც ჰეგელს დაუშლიდა მისი არარევოლიუციონერობა მეცნიერული მეტოდის შემუშავებას?

დიახ, ამ გზით ვერაფერს ვერ დაამტკიცებენ ანარხისტები გარდა თავიანთი უხეირობისა.

დავყვეთ ქვემოთ. ანარხისტების აზრით „დიალექტიკა მეტაფიზიკაა“, და რადგანაც მათ „უნდათ მეცნიერების განთავისუფლება მეტაფიზიკისაგან და ფილოსოფიის თეოლოგიისაგან“, ამიტომ უარყოფენ დიალექტიურ მეტოდს (იხ. „ნობ.“ № 3 და № 9. შ. გ. იხ. აგრეთვე „მეცნიერება და ანარხიზმი“ კროპოტკინისა).

„ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო“— სწორეთ ისეა ანარხისტების საქმე: დიალექტიკა მეტაფიზიკასთან ბრძოლაში დამწიფდა, მან ამ ბრძოლაში ისახელა თავი, და ანარხისტების აზრით კი გამოდის, რომ დიალექტიკა მეტაფიზიკა ყოფილა!

დიალექტიკა ამბობს, რომ ქვეყანაზე არაფერი არაა მუდ-

ციხე, ციმბირი და სახრჩობელა. მარა დღეს ჩვენმა მედგარმა ბრძოლამ, თავდადებულმა მოქმედებამ წელში მოტეხა აღვირწახსნილი მთავრობა და მის თვითნებობას ნელ-ნელა ძირი ეცლება. ჩვენმა ერთსულოვანმა გაფიცვამ ქედი მოახრევინა ჩვენი სისხლითა და ოფლით გაუმაძღარ ხაზეინებს, რომლებიც დღეს მუხლ-მოდრეკილი ქედს იხრიან ჩვენს წინაშე. ჩვენმა კავშირებმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ხაზეინები, მათი ფუფუნების საათი დღითი დღე ითვლება და ჩქარა დაჰკრავს ის ნეტარი ზარი, რომელიც სრულაიდ მოუსპობს სხვის ნაშრომ-ნადაგით განცხრომითი ცხოვრებას.

დიახ, ის არა ვართ დღეს, რაც ვიყავით ამ რამდენიმე ხნის წინათ, დღეს წინანდებურათ ვერ გვხმარობენ ბრმა იარაღათ; დღეს ნათლათ შევიგენით,—რა ვართ ჩვენ, ვინ არიან ისინი, ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ არის მოყვარე. იყო დრო, როდესაც ჩვენ, მუშებს, გვეგონა,—თითქო მუშებს უხაზეინოთ ცხოვრება არ შეგვეძლო, თუ ხაზეინი არ გვამუშავებდა ჩვენ, სიმშილით დავიხოცებოდით, მარა გაქრა ეს ილიუზიები გაქრა ჩვენი ბრმა შეხედულება ცხოვრებაზე. დღეს ნათლათ დავინახეთ, რომ ჩვენ-კი არა ვართ მათზე დამოკიდებულნი, არამედ ისინი არიან ჩვენგან დამოკიდებულნი. უჩვენოთ მათ ერთი დღეც არ შეუძლიათ ცხოვრება, უჩვენოთ მათ მოელით სიმშილ-სიცივით სიკვდილი, რის მაგალითიც არის საერთო გაფიცვა. შესდგება თუ არა მედგარი მუშის მაჯის ცემა, ყველგან სამარისებური სიჩუმე მძვინარებს, ყველგან წყდება სიცოცხლის ამმოძრავებელი ძალები, მთელი ქალაქი მკვდარ არსებას წარმოადგენს.

დიახ, ჩვენი მძლავრი ძალა, მედგარი ბრძოლა და თავდადებული მოქმედება არ შეუგნია მარტო კაპიტალისტებს და მთავრობას, რომლებიც ასე ქედ-მოხრილი ჩვენი ძალის წინაშე კანკალებენ, არამედ ეს შეიგნო იმ ახალ-გამოჩეკილმა პარტიებმაც, რომლებიც ეხლა ძვრებიან სოროებიდან. ახლა

მივი, იქ ყველაფერი წარმავალია და ცვალებადი,—იცვლება ბუნება, იცვლება ცხოვრება, იცვლება ზნე-ჩვეულებანი, იცვლება სამართლიანობა, იცვლება თვით ჭეშმარიტებაც,—ამიტომ არის, რომ დიალექტიკა ყველაფერს კრიტიკის თვალით უყურებს, ამიტომ არის, რომ ის უარჰყოფს ერთხელ და სამუდამოთ გარკვეულ ჭეშმარიტებას, უარჰყოფს, მაშასადამე, განყენებულ „დოგმებს, რომლებიც, ვითომ, საბოლოოთ აღმოუჩენიათ და რომლებსაც გაზეპირების მეტი აღარა უნდა რა“ (იხ. „ლუდვიგ ფეიერბახი“ ფ. ენგელსისა)

მეტაფიზიკა კი სრულიად სხვა რამეს გვეუბნება,—მისთვის ქვეყნიერობა „მუდმივი და უცვლელი რაღაცაა“ (იხ. „ანტი-დიურინგი“ ენგელსისა), რომელიც ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრა ვიღაცამ ან რაღაცამ,—ამიტომ არის, რომ მეტაფიზიკას ყველგან „მუდმივი სამართლიანობა“ და „უცვლელი ჭეშმარიტება“ აკერია პირზე.

ანარხისტების „მამამთავარი“ პრუდონი ამბობდა, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული უცვლელი სამართლიანობა, რომელიც საფუძვლათ უნდა დაედოს მომავალ ცხოვრებასო. ამიტომ იყო, რომ პრუდონს მეტაფიზიკს ეძახდენ.

მარქსი ებრძოდა პრუდონს დიალექტიური მეტოდის შემწეობით და ამტკიცებდა, რომ რადგანაც ქვეყანაზე ყველაფერი იცვლება, ამიტომ ,,სამართლიანობაც'' უნდა იცვლებოდეს, და მაშასადამე, ,,უცვლელი სამართლიანობა'' მეტაფი-

ვინ არ გინდა, რომ მუშას არ ებღაუქება,—ვინ არ არის, რომ მათ გაბედნიერებას არ პირდება, ოღონდ ჩემსკენ გადმოდიო: ანარხისტები, მონარხისტები, კადეტისტები, ფედერალისტები, დაშნაკისტები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ეშმაკისტები. სუყველას „მუშა“ აკერია პირზე, ყველა სამოთხეს პირდება, ყველა თავის-მიერ შეთითხნილ სოციალიზმს აწვდის მუშებს. მარა, მათი ფიზიონომია, მათი თვისებები, რომ გავარჩიოთ სულ სხვას დავინახავთ, ისინი სოციალიზმისაკენ კი არა, უფსკრულ-ხრამისაკენ მიგვაქანებენ. ეს უკვე ნათელია მუშებისათვის, როგორც დღე და ღამე ყველასათვის. მარა, პარტიებს თავი დავანებოთ და შეუდგეთ ჩვენს საუბარს.

მე ზევითა ვსთქვი, რომ იყო დრო, როდესაც არ ვიცოდით, ვინ ვიყავით ჩვენ, ან რა ძალა იმყოფებოდა ჩვენში; მარა, ვიტყვი კიდევ, რომ იყო დრო, როდესაც სხვისი თავით, სხვისი სიტყვით და გავლენით ვმოქმედებდით, მარა დღეს იმდენათ გაძლიერდა ჩვენში თვით-მოქმედების სურვილი, იმდენათ გათვითცნობიერდა მუშები, რომ ისინი, სხვის დაუხმარებლათ, თავის საკუთარ თვალთა-ხედვის ისრით სწყვეტენ თავიანთ საჭირ-ბოროტო კითხვებს. მართალია, დღეს ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიები გვიკიჟინებენ, თითქოს ჩვენ „ინტელიგენტების“ გავლენის ქვეშ ვიყოთ, თითქოს ჩვენ არ გვქონდეს თვით-მოქმედების უნარი, მარა, დეე, რამდენიც უნდათ ნაყონ წყალი, ჩვენ ამას დავანახვებთ საქმით და არა მარტო სიტყვით.

ის დიადი როლი, რომელიც გვარგუნა ისტორიამ მუშებს და გვიანდერძა მამათ-მთავარმა კ. მარქსმა: ,,განთავისუფლება მუშებისა უნდა მოხდეს თვით მუშების ხელითო''. ჩვენც უნდა შევუდგეთ მის განხორციელებას. ჩვენ უნდა განვითავისუფლოთ არა მარტო ჩვენი თავი, არამედ მთელი კაცობრიობა; ჩვენ უნდა მოვსპოთ არსებული დესპოტიური წესწყობილება და დავამყაროთ ძმობა, ერთობა და თანასწორობა. ჩვენ უნდა მოვსპოთ კაპიტალიზმი და დავამყაროთ სოციალიზმი. აი, ამ დიადი როლის შესრულებას დღეიდან უნდა შევუდგეთ, დღეიდან უნდა შევისწავლოთ ყველა მისი მხარეები, ყველა მისი თვისებები... ამისათვის რა არის საჭირო? თვით-მოქმედება, თვით-გაცნობიერება, გონებრივათ განვითარება და სხვა... უნდა შეერთდეთ ყველა მუშები, განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა, უნდა შევადგინოთ პროფესიონალური კავშირები, რის საშუალებითაც შეგვეძლება ბრძოლა ხაზეინების წინააღმდეგ, რომლებიც უკანასკნელ წვეთ სისხლს გვწუწნიან. ჩვენ უნდა შევქმნათ პროფესიონალური კავშირების ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა დარგის მუშებს გაფიცვების დროს. თვითონ ჩვენ უნდა გაუწიოთ, როგორც იდეიური, ისე პრაქტიკული ხელმძღვანელობა ჩვენ საქმეს; მარა, ამავე დროს უნდა იცოდეს ყველა მუშამ, რომ, როცა ხაზეინებს ჩვენ ბრძოლას ვუცხადებთ, მთავრობაც გვერდზე აეტუზება მათ და მფარველობას უწევს; ასე რომ, მარტო ხაზეინებთან არა გვაქვს ჩვენ საქმე, არამედ მთავრობასთანაც, ამიტომ ყველა მუშების ვალია—შეგნება, შეგნება და კიდევ შეგნება! დროზე საჭიროა ბრძოლა ქუჩაზე და ამისთვის მუდამ უნდა ვემზადებოდეთ. მარა, ამისათვის საჭიროა გონების ამუშავება, გონივრული ბრძოლა, გეგმა მაგ ბრძოლისა და სხვა. მოიგონეთ საფრანგეთის ისტორია. არსად იმდენი სისხლი არ დაუღვრია პროლეტარიატს, როგორც საფრანგეთში, არსად იმდენი სისხლი არ შეწირულა თავისუფლების სამსხვერპლოზე, როგორც საფრანგეთში, მარა მათი ბრძოლა ბურჟუაზიის სასარგებლოთ თავდებოდა, თვითონ-კი ჩალა-გამოვლებული რჩებოდა... მოიგონეთ 1830 წ. 28 ივლისს 5,300 მსხვერპლი პარიჟის ბარიკადებზე... ვინ ისარგებლა ამით? ბურჟუაზიის მინისტრმა გიზომ და მისმა კომპანიამ.. გიზო ხომ ხშირათ ამბობდა: „შრომა მუშების ლაგამია“ ო!. აი, მუშებმაც წაიძვრეს ლაგა-

---

ზიკური ბოდვაა (იხ. „ფილოსოფიის სიღატაკე“ კ. მარქსის).

მეტაფიზიკი პრუდონის ქართველი მოწაფეები კი გადმომდგარან და გვიკიჟინებენ: მარქსის ,,დიალექტიკა მეტაფიზიკაა“!

მეტაფიზიკას სწამს სხვა-და-სხვა ბუნდოვანი დოგმები, როგორიცაა, მაგალითათ, „ამოუცნობელი“ და „საგანი თავის არსებაში„, ის ბოლოს და ბოლოს უშინაარსო ღვთისმეტყველებაზე გადადის. ენგელსი ებრძოდა ხსენებულ დოგმებს დიალექტიური მეტოდის შემწეობით წინააღმდეგ პრუდონისა და სპენსერისა (იხ. „ლუდ. ფეიერბახი“).

პრუდონ-სპენსერის ანარხისტული მოწაფეები კი გვეუბნებიან: პრუდონი და სპენსერი მეცნიერებია და მარქსი და ენგელსი კი მეტაფიზიკებია!

ორში ერთი: ან თავიანთ თავს ატყუებენ ანარხისტები და ან არ იციან ,რას ამბობენ.

ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ ანარხისტებს ერთმანეთში ერევათ ჰეგელის მეტაფიზიკური სისტემა და მისივე დიალექტიური მეტოდი.

თქმა არ უნდა, რომ ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც უცვლელ იდეიას ემყარება,—თავით ბოლომდე მეტაფიზიკურია.

მაგრამ ცხადია აგრეთვე ის, რომ ჰეგელის დიალექტიური მეტოდი, რომელიც უარჰყოფს ყოველივე უცვლელ იდეას,—თავით ბოლომდე მეცნიერულია და რევოლიუციონური.

ამიტომ იყო, რომ კ. მარქსი, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ჰეგელის მეტაფიზიკურ სისტემას, იმავ დროს, ქებითა და დიდებით იხსენიებდა მის დიალექტიურ მეტოდს, რომელიც მარქსის აზრით „არაფრის წინაშე არ იხრის თავს, ყველაფერს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და მუდამ რევოლიუციის ნიადაგზე გამყოფებს'' (იხ. ,,კაპიტალი'' ტ. I წინასიტყვაობა).

ამიტომ არის, რომ ენგელსი დიდ განსხვავებასა ხედავს ჰეგელის მეტოდსა და და სისტემას შორის: ,,ვინც უმთავრეს ყურადღებას ჰეგელის სისტემას აქცევდა, მას შეეძლო კონსერვატორათ დარჩენილიყო როგორც პოლიტიკაში, ისე რელიგიაში, ხოლო ვინც მთავარ ყურადღებას მის დიალექტიურ მეტოდს აქცევდა, ის ორივე სფერაში უკიდურეს მემარცხნეებისკენ გადადიოდაო'' (იხ. ,,ლუდ. ფეიერბ.'').

ამ განსხვავებას ვერ ხედავენ ანარხისტები და სწორეთ იმიტომ არის, რომ ასე დაუფიქრებლეთ გაიძახიან: ,,დიალექტიკა მეტაფიზიკაა''.

დავუვეთ ქვემოთ. ანარხისტები ამბობენ, რომ დიალექტიური მეტოდი „იკლიკანტობაა“, ,,სოფიზმების მეტოდია'', ,,ლოღიკური სალტომარტალეა'' (იხ. ,,ნობ.'' № 8. შ. გ.) ,,რომლის საშვალებით წაღმართიც და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით არის დამტკიცებული'' (იხ. ,,ნობ.'' № 4 ვ. ჩერქეზ. წერილი).

მაშ ასე. ანარხისტების აზრით დიალექტიური მეტოდი

მი!.. მარა იმათ ისევ ასდვეს ის: აუკრძალეს მათ კავშირები, გაფიცვები, გააძევეს ისინი მილიციონერთა რაზმებიდან და სხვა ამგვარი... 1831 წელს ისევ მოხდა ბარიკადებზე ბრძოლა, შეიწირა აუარებელი მსხვერპლი, გაიმარჯვეს მუშებმა, დაამარცხეს ჯარი, დაიპირეს საბჭო, ჩაიგდეს ხელში მთელი ქალაქი და გააწესეს შიგ თავიანთი მთავრობა. მათ დროშაზე ეწერა: „ცხოვრება შრომით და სიკვდილი ბრძოლით“. მარა, მუშები იმდენათ მოუმზადებელნი იყვენ, იმდენათ არ იყვენ შეჩვეულნი თვით-მოქმედებას, თავიანთ თავის გაძღოლას, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ვერაფერი ვერ მოაგვარეს, რის შედეგიც იყო ის, რომ დაუწყეს დამფრთხალ ხაზეინებს ძებნა და გროშების მომატება სთხოვეს. მთავრობამაც იშოვნა დრო, დაიბარა პარიჟიდან ჩუმათ აუარებელი ჯარი (40,000); ჯარის მოსვლამდის-კი გამართეს მოლაპარაკება მუშებთან; მარა, როცა შემოვიდა ჯარი, ბოლი აადინა მუშებს. 1839 წ. 28 თებერვალს აშენდა პარიჟის ქუჩებში 1500 ბარიკადა, რომლის აშენებისთვისაც მოსჭრეს 4000 ხე... 1848 წ. სისხლის ღელეები დადგა ქუჩებში, მარა პროლეტარიატი ისევ ისე უფლება მოკლებული და ეკონომიურათ დაცემული დარჩა. რატომ მოხდა ყველა ეს? იმიტომ რომ მუშებში თვით-შეგნება, თვით-მოქმედება არ იყო; ისინი მოქმედებდენ მხოლოდ სხვისი გავლენით, სხვისი თავით, და როდესაც სხვისი თავი ჩამოეცალა, დარჩენ არეულ-დარეულები.

ნუთუ ყველა ამ მაგალითების შემდეგ ბრმათ უნდა ვეკიდებოდეთ ჩვენ ჩვენს საქმეს? ნუთუ დღეიდანვე ჩვენს საქმეს ჩვენ არ უნდა ვედგეთ სათავეში? ნუთუ ეხლავე არ უნდა ვეჩვეოდეთ თვით-მოქმედებას, თვითონ ჩვენ ჩვენი საქმის მოწესრიგებას?!. დიახ, გეტყვით, ამხანაგებო, რომ ჩვენი ინიციატივით, ჩვენი ხელმძღვანელობით უნდა კეთდებოდეს ყველა ის, რაც გვარგუნა ისტორიამ შესასრულებლათ... მარა ჩვენდა სამწუხაროთ, - დღეს-დღეობით არ ხდება ეს ასე. ამაში-კი თვითონ ჩვენ, მუშები ვართ დამნაშავე, თვითონ ჩვენ ალმაცერათ ვეკიდებით ჩვენ საქმეს. მაშინ, როდესაც პროფესიონალური კავშირები ერთათ-ერთი საშუალებაა ხაზეინების ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ჩვენ ძალიან ცოტა ყურადღებას ვაქცევთ ამას. თუ-გინდ აიღეთ, მაგალითად, რკინის-გზის სახელოსნოს მუშები. არა ერთხელ და ორხელ ყოფილა მოწინავე მუშებში კითხვა დასმული კავშირების შესახებ, არა ერთხელ და ორხელ გადაუწყვეტიათ აუცილებელი საჭიროება კავშირისა, მარა გადაწყვეტილება გადაწყვეტილებათ დარჩა და ინიციატივა კი,—რომ მოეწყოს კავშირები ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშებისა, არსადა სჩანს! მართლაც, ამ მხრით ძალიან გასაკიცხნი არიან რკინის-გზის მოწინავე მუშები. მართლაც, დღეს არ არის დარჩენილი არავინ, რომ კავშირებზე არ ზრუნავდეს და ჩვენ-კი რკინის გზის მუშები ყურსაც არ ვიბერტყავთ.

დროა, ამხანაგებო, დრო, შევუდგეთ, რაც შეიძლება ჩქარა, ამ საშური საქმის მოწყობას,—რკინის-გზის ყველა მუშების საერთო კავშირის მოწყობას, ჯერ თბილისში ვინცა ვართ იმათგან,—და შემდეგ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე სხვა მუშების შემოერთებას ერთ საოლქო კავშირში და ბოლოს მთელ რუსეთის რკინის-გზების მუშების სახელ-განთქმულ დიდ კავშირში შესვლას... ამასთან, რასაკვირველია, რომ ჩვენ, თბილისელებს, ჩვენი კავშირიდან უნდა გვყავდეს წარმომადგენლები თბილისის პროფესიონალურ კავშირების მუშათა დეპუტატების საბჭოში, რომელიც ამ დღეებში, როგორც ვიცით, უკვე დაარსდა და საქმეს შეუდგა... დრო, დრო, ამხანაგებო, ჩვენც შევუდგეთ საქმეს: ჩვენი კავშირიც მოვაწყოთ ჩქარა და თბილისის სხვა კავშირებს გვერდში ამოვუდგეთ... იმედია, ამ საქმეში ახლავე დახმარებას გაგვიწევს აწ უკვე არსებულ ცენტრალურ საბჭოს-მიერ დაარსებული პროფესიონალური კავშირების მომწყობი კომისია.

მუშა კოლა ციმბირელი.

—

წალმართსაც და უკუღმართსაც ერთნაირათ ამტკიცებს.

პირველ შეხედვაზე შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ანარხისტების ბრალდება მოკლებული არაა სიმართლეს. ყური დაუგდეთ, რას ამბობს ენგელსი მეტაფიზიკურ მეტოდის მიმდევრებზე:

,,მათთვის მხოლოდ ჰო—ჰო და არა—არა არსებობს, რაც ამის გარეშეა, ის ეშმაკისგანაა. მათთვის ესა თუ ის საგანი ან არსებობს, ან არ არსებობს; მათი აზრით არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე საგანი იყვეს ის, რაც არის, და იმავე დროს არც იყვეს... მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ საგანი შეიძლება ერთ და იმავე დროს კარგიც იყვეს და ავიც'' (იხ. ,,ანტი-დიურინგი'').

— როგორ! ცხარობენ ანარხისტები,—განა შეიძლება ერთი და იგივე საგანი ერთ და იმავე დროს კარგიც იყვეს და ავიც?! ეს ხომ ,,სოფიზმია'', ეს ხომ ,,სიტყვების თამაშია'', ეს ხომ იმასა ნიშნავს, რომ ,,წალმართიცა და უკუღმართიც ერთნაირი სიადვილით გინდათ დამტკიცოთ''!..

მაგრამ ჩავუკვირდეთ საქმეს.

ჩვენ დღეს დემოკრატიულ რესპუბლიკას ვითხოვთ. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა სავსებით კარგია, ან სავსებით ცუდი? არ შეიძლება! რატომ? იმიტომ რომ დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია მხოლოდ ერთმხრივ, როცა ის ფეოდალურ წესებს ანგრევს, სამაგიეროთ ის ცუდია მეორე მხრივ, როცა ბურჟუაზიულ წესებს ამაგრებს. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: რამდენათაც დემოკრატიული რესპუბლიკა ფეოდალურ წესებს ანგრევს, იმდენათ ის კარგია, და ჩვენ ვიბრძვით მისთვის; ხოლო რამდენათაც ის ბურჟუაზიულ წესებს ამაგრებს, იმდენათ არ არის კარგი, და ჩვენ ვებრძვით მას.

გამოდის, რომ ერთი და იგივე დემოკრატიული რესპუბლიკა, ერთსა და იმავე დროს, „კარგიც ყოფილა“ და „ავიც“, „ჰო“-ც და „არა“-ც.

ასევე უნდა ითქვას რვა საათის სამუშაო დღეზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს „კარგიც“ არის—რამდენათაც პროლეტარიატს ამაგრებს, და „ავიც“—რამდენათაც ამტკიცებს დაქირავებული შრომის სისტემას.

სწორეთ ასეთი ფაქტები ჰქონდა სახეში ენგელსს, როცა ის ზემოთ ნათქვამს ლაპარაკობდა დიალექტიური მეტოდის დასახასიათებლათ.

ანარხისტებს კი ვერ გაუგიათ ეს და ყოვლად ნათელი აზრი დაბურულ „სოფიზმათ“ მოლანდებიათ.

რა თქმა უნდა, ანარხისტებს შეუძლიათ შეამჩნიონ, ან არ შეამჩნიონ ეს ფაქტები, მათ ისიც შეუძლიათ რიყეზე ისე გაიარონ, რომ ქვა ვერ დაინახონ—ეს მათი უფლებაა, მაგრამ რა შუაშია აქ დიალექტიური მეტოდი, რომელიც ანარხისტებივით თვალდახუჭული არ უყურებს ცხოვრებას, რომელიც ამჩნევს ცხოვრების მაჯის ცემას და ხმამაღლა გვეუბნება: რადგანაც ცხოვრება იცვლება, რადგანაც ცხოვრება მო-

თბილისის წყლის მილების გამყვან კერძო სახელოსნოების პატრონები და მათი შეგირდები. როგორც სხვა პროფესიის წვრილ სახელოსნოების პატრონები, აგრეთვე ჩვენი ხაზეინებიც იმ თავით ამ თავამდე სარგებლობენ მცირე წლოვან შეგირდების შრომით და ამუშავებენ მათ, როგორც მოესურვებათ: არც უქმეა შეგირდებისთვის, არც კვირა, და არც „შაბაშის“ შემდეგ შეუძლია შეგირდს დაისვენოს თავისუფლათ! დილიდან საღამომდის ამუშავებენ სახელოსნოში, „შაბაშის“ შემდეგ კი მიყავთ თავიანთ სახლებში და აწმენდინებენ ქვაბებს, იატაკებს, სამოვარს; აგრეთვე გზავნიან აქეთ-იქით რაიმეს საყიდლათ და სხვა ამგვარი. ერთი სიტყვით, შეგირდს ამუშავებენ, ერთის მხრით, როგორც შეგირდს, სახელოსნოში, — მეორე მხრით, როგორც ხელზე-მოსამსახურეს! რომ სიმშილით არ დაიხოცნენ შეგირდები, ამისთვის მათ აძლევენ დღეში პურის ფულათ თითოს 15—20 კაპეიკამდე, რომლითაც შეგირდმა უნდა კიდეც გამოიკვებოს თავი, ტანთ ჩაიცვას და დაიხუროს, გაირეცხოს საცვლები, მისცეს ოთახის ქირა და ეს სულ ამ 15—20 კაპეიკიდან! თუმცა შეპირებულნი არიან ზოგი ხაზეინები, გარდა ამ არა-სახსენებელ ჯამაგირისა, კიდევ აძლიონ თვეში 1 მან., ან 1 მ. 50 კ., მაგრამ ამასაც სრულებით არ აძლევენ ბევრნი... საბრალო შეგირდებმა რომ ხმა ამოიღონ ხაზეინების ასეთ აღვირ-წახსნილობის წინააღმდეგ, მაშინვე ითხოვენ მათ ადგილიდან და მოყვებიან ხოლმე თავის მართლებას მუშათა კავშირის წინაშე. აი, მაგალითად, როგორ იმართლა თავი ბ. პეისისიმ, როდესაც კავშირის წევრებმა მოსთხოვეს მას, — ეძლია შეგირდებისათვის არა 15 კ., — არამედ 25 კაპ., — „15 კაპეიკსაც იმიტომ ვაძლევ დღეში, რომ მეცოდება, — რომ არ ამეყვანა ხომ სიმშილით მოკვდებოდენ ქუჩაშიო და თუ მაინცა-და მაინც ძალას დამატანთ, რომ სამი შაურის მაგიერ ვაძლიო დღეში ხუთი შაური თითო შეგირდს, მაშინ ერთ მათგანს დავითხოვ, რადგანაც მე წარმოებიდან მოგება არა მაქვს, ზარალის მეტია“... ხედავთ, სად ამოყო თავი სიმტყუნემ! ვიცით, ვიცით, ბ. ხაზეინებო, როგორ გებრალებათ შეგირდები! მარა ხომ ხედავთ, ჟამი სხვა დადგა და ჩვენმა შეგირდებმაც გამოიღვიძეს. ისინი კავშირდებიან და საერთო ბრძოლას ეჩვევიან. აი, მაგალითად, — ამ ორი თვის წინეთ გათავებული გაფიცვა... რადგანაც ცალ-ცალკე ბრძოლა ხაზეინებთან მეტ ხანს გასტანდა და გამარჯვებაც საეჭვო იყო, — ამიტომ შეგირდებმა საერთო გაფიცვით გასცეს პასუხი ხაზეინებს და წარუდგინეს მათ შემდეგი მოთხოვნები:

1) შეგირდს მიეცეს პირველი წლის განმავლობაში დღეში 25 კ. და თვეში ტანისამოსის ფული 1 მან. 50 კ... შემდეგ ერთი წლისა, მოემატოს ყოველ წლობით თითო შეგირდს ერთი შაური დღიურათ და თვეში 50 კ.

2) მოისპოს მუშაობა კვირაობით და იმ უქმე დღეებში, რომელსაც ჩვეულებრივათ უქმობენ ყველა მუშები, სრული ჯამაგირის მიცემით.

3) ჯამაგირი მიეცეს შეგირდს ყოველი თვის ბოლოში თვიური, — და დღიური-კი მუდამ დღე სადილის წინ.

4) მოისპოს შეგირდისთვის ტვირთის ზიდვა ერთი ფუთის უმძიმესი.

5) მოისპოს ხელზე მოსამსახურეობა შეგირდებისა ხაზეინების ოჯახებში.

6) ზრდილობიანი მოპყრობა.

7) შეგირდის დათხოვნა არ შეეძლოს ხაზეინს კავშირის დაუკითხავათ.

8) წელიწადში ერთი თვის განთავისუფლება ადგილისა და ჯამაგირის შენახვით.

9) სამი თვის განმავლობაში ექიმობა, იმ შემთხვევაში თუ შეგირდი დაშავდა ხაზეინის საქმეზე.

10) აბანოს ფული ეძლეოდეს შეგირდს ყოველ ორ კვირაში ერთხელ 25 კ.

ძრაობს, ამიტომ ყოველივე ცხოვრებით მოვლენას ორი მხარე აქვს: კარგი და ავი, რომელთაგან პირველი უნდა დავიცვათ და მეორე უარვყოთო?

დავუვეთ კიდევ ქვემოთ. ჩვენებური ანარხისტების აზრით „დიალექტიური განვითარება კატასტროფისტული განვითარებაა, რომლითაც ჯერ წარსული სრულიათ ნადგურდება და მერე მომავალი სავსებით განკერძოებულათ მყარდება... კიუვიეს კატაკლიზმებს უცნობი მიზეზი წარმოშობდა, მარქსენგელსის კატასტროფებს დიალექტიკა“ (იხ. „ნობ.“ № 8 შ. გ.“).

ხოლო მეორე ადგილას იგივე ავტორი სწერს: „მარქსიზმი დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებს მასო (იხ. ნობ.“ № 6).

კარგა ჩაუკვირდით მკითხველო:

კიუვიე უარჰყოფს დარვინის ევოლიუციას, მას მხოლოთ კატაკლიზმები სწამს, კატაკლიზმი კი მოულოდნელი აფეთქებაა, „რომელსაც უცნობი მიზეზები წარმოშობს“. ანარხისტები ამბობენ, რომ მარქსისტები კიუვიეს ემხრობიან და მაშასადამე უარყოფენ დარვინიზმსო.

დარვინი უარყოფს კიუვიეს კატაკლიზმებს, ის თანდათანობით ევოლიუციას ემხრობა. და აი, იგივე ანარხისტები გვეუბნებიან, რომ „მარქსიზმი დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყურებსო“, ე. ი. მარქსისტები უარყოფენ კიუვიეს კატაკლიზმებსო.

ერთი სიტყვით, ანარხისტები ამტყუნებენ მარქსისტებს — კიუვიეს ემხრობითო, და ამავე დროს უსაყვედურებენ — რატომ დარვინს ემხრობით, და არა კიუვიესო.

აი ანარხია! სწორეთ ამაზე იტყვიან: გენერლის ცოლმა თავისი თავი თავისივე ხელით გაწკეპლაო! ცხადია, „ნობათის“ მერვე ნომრის შ. გ-ს დავიწყებია ის, რაც მეექვსე ნომრის შ. გ-ს უთქვამს.

რომელია მართალი, მერვე თუ მეექვსე ნომერი?

გადავხედოთ ფაქტებს. მარქსი ამბობს:

„განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე საზოგადოების საწარმოვო ძალები კონფლიქტში ჩაუდგებიან ხოლმე არსებულ საწარმოვო ურთიერთობას, ანუ მათ იურიდიულ გამოხატულებას — საკუთრების ურთიერთობას... და მაშინ დგება ეპოქა სოციალური რევოლიუციის... მაგრამ არც ერთი საზოგადოებრივი გარდაქმნა (რევოლიუცია) არ დადგება იქამდე, სანამ შესაფერისი საწარმოვო ძალები საკმაოთ არ დამწიფდება“ (იხ. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის გამო“. წინასიტყვაობა. კ. მარქსი).

დღევანდელ ცხოვრებას რომ მიუყენოთ მარქსის აზრი, გამოვა, რომ დღევანდელ „საწარმოვო ძალებს შორის, რომელთაც ამხანაგური ხასიათი აქვს, და ნაწარმოებთა მითვისების შორის, რომელსაც კერძო ხასიათი აქვს, — ძირეული კონფლიქტია“... რომელიც... „სოციალისტური რევოლიუციით უნდა დასრულდეს“ (იხ. ანტიდიურინგი“ ენგელსისა, მესამე განყოფილების მეორე თავი).

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ახალი დროება № 6

სიტყვების ახსნა.

ი

იდეოლოგია—შეგნებულ და მეცნიერულათ დასაბუთებული გამოხატულება, მეტ ნაწილათ ლიტერატურაში, რომელიმე კლასის ან წოდების ინტერესებისა.

იდეოლოგი—იდეიური დამცველი რომელიმე კლასის ინტერესებისა.

ინიციატივა—დაწყება, თაოსნობა რომელიმე საქმეში.

ისპანია—ევროპის ერთი სახელმწიფოთაგანია, რომელიც მდებარეობს ევროპის სამხრეთ-დასავლეთით და მოსაზღვრეა საფრანგეთისა.

კ

კლემანსოო—დღევანდელი საფრანგეთის სამინისტროს მინისტრ-პრეზიდენტი, ,,რადიკალ-სოციალისტების" მეთაური. ამ ბოლო ხანებში გამოიჩინა თავი იმით, რომ „სოციალიზმის ასაყვავებლათ" სესხს უხერხებს რუსეთის ბიუროკრატიას.

კრიზისი—1) ვაჭრობა-მრეწველობაში საქმეთა შეჩერება, შეფერხება; 2) პოლიტიკაში—საქმეთა გამწვავება, რომელიც იწვევს მთავრობის გამოცვლას; 3) ავათმყოფის მდგომარეობაში მწვავე ცვლილება.

კომისია—საზოგადოების ან დაწესებულების-მიერ არჩეული პირები რომელიმე კითხვის შესამუშავებლათ, ან რაიმე საქმის გამოსაძიებლათ.

კამერა—წარმომადგენელთა პალატა კონსტიტუციონალურ სახელმწიფოებში; საზოგადო დაწესებულებათა სადგომი; სატუსაღოს ოთახი.

კოლეგა—ამხანაგი.

კაპიტალი—საწარმოვო საშუალებანი: ფულები, მანქანები, საქონელი ან სხვა, რომლის საშუალებით იღებენ მოგებას და ამნაირათ ითვისებენ მუშების შექმნილ ზედმეტ ღირებულებას.

კონფლიქტი—შეტაკება, უთანხმოება.

კოოპერაცია—კავშირი რაიმე სასარგებლო მიზნის მისაღწევათ თავის წევრებისათვის, მაგ. საქონლის იაფათ შესაძენათ, აგრეთვე საქონლის იაფათ საწარმოებლათ, ან კარგ პირობებში გასასყიდათ.

კონცენტრაცია—შეერთება, თავის მოყრა, შუაგულის გარშემო მჭიდროთ შემოკრება.

კაუცკი კარლ—გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის გამოჩენილი ტეორეტიკოსი და მომხრე ორთოდოქსალურ მარქსიზმისა. დაუღალავი მებრძოლი რევიზიონიზმისა და საზოგადოთ ყოველგვარ ოპორტიუნიზმის წინააღმდეგი. მის თხუზულებებს „ერფურტის პროგრამა'', ,,სოციალური რევოლიუცია'', ,,აგრარული საკითხი'', ,,საზოგადოებრივ მიმდინარეობათა ისტორიიდან'' და სხვა მრავალი ნაწერები, რომელშიაც ზედმიწევნით არკვევს და ანვითარებს მარქსისა და ენგელსის აზრებს, აქვს დიადი მნიშვნელობა, როგორც გერმანიის, ისე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის.

კოალიცია—სახელმწიფოთა კავშირი ერთათ მოქმედებისათვის. საზოგადოთ, კავშირი რაიმე მიზნის მისაღწევათ.

კროონი—ვერცხლის ფული, რომელიც ავსტრიაში უდრის 39 კაპეიკს, დანიაში, შვეციაში და ნორვეგიაში—52 კაპეიკს.

კატეგორიული—გადაჭრილი, დანამდვილებული, უთუო.

კატეხიზისი—რაიმე მოძღვრების დაწერა კითხვა-პასუხის სახით.

კონსერვატორია—უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი.

კლოზეტი—ფეხის-ალაგი.

კატონი—გამოჩენილი რომაელი.

კრამოლა—ამბოხება, არეულობა, ჯანყი, ღალატი.

კრამოლნიკი—მეამბოხე, აჯანყების მომხრე.

კომეერცია—ვაჭრობა, აღებ-მიცემობა.

კომეერსანტი—დიდი ვაჭარი.

კატეგორია—განყოფილება, რიგი, ხარისხი.

კონსერვატორი—არსებულ წეს-წყობილების მომხრე.

კატელნიკი—ქვაბის მჭედელი.

კურსი—ფასიან ქაღალდების და უცხო ქვეყნის ფულების ფასი, რომელიც ყოველდღიურათ წესდება ბირჟაზე. როდესაც სახელმწიფო გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ან ხალხის არეულობაა, ასეთ დროს კურსი დაბლა იწევს. მაგ. ფასიანი ქაღალდი იაპონიასთან ომის დაწყების დროს ღირდა 98 მანეთი, ომის გათავების დროს დავიდა 83 მანეთამდე.

ლ

ლიკვიდაცია—საქმის წარმოების საბოლოოთ შეწყვეტა და ანგარიშების საბოლოოთ გასწორება.

ლიდერი—პოლიტიკურ პარტიის მეთაური.

ლოღიკა—მეცნიერება აზროვნების კანონებისა და ფორმების შესახებ, საღი მსჯელობა.

მ

მორალი—მოძღვრება ზნეობის შესახებ; ზნეობის წესები.

მომენტი—რომელიმე მოვლენის მიმდინარეობაში განსაკუთრებით საყურადღებო დრო.

მონარხია—თვითმპყრობელობა, ისეთი პოლიტიკური წეს-წყობილება, სადაც უმაღლესი ძალა-უფლება ეკუთვნის ერთ კაცს, მაგ. მეფეს; მონარხია შეიძლება განუსაზღვრელი, მაგ. რუსეთში, 17 ოქტომბრის მანიფესტამდის, და განსაზღვრული—კონსტიტუციონალური, როდესაც მეფის უფლებას საზღვრავს რომელიმე წარმომადგენლობითი დაწესებულება.

მეტალი—ლითონი.

ნ

ნეიტრალიტეტი—ომის ან ჩხუბისა და დავის დროს განზე დგომა, მაყურებლათ დარჩენა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

Ო

ᲝᲞᲝᲠᲢᲘᲣᲜᲘᲖᲛᲘ—ისეთი პოლიტიკა, როდესაც მოქმედების დროს თავის პარტიულ პროგრამით არ ხელმძღვანელობენ, ამჯობინებენ დათმობას და ამ დათმობის დროს უმთავრეს საქმესა და მიზანს ივიწყებენ. ოპორტიუნიზმი დამახასიათებელი თვისებაა ლიბერალურ ბურჟუაზიისა, რომელიც მუდამ მზათ არის გაჰყიდოს ხალხი და ხალხის ინტერესები, ოღონდ კი მისთვის შესაძლებელი გახდეს უფლების ხელში ჩაგდება.

ᲝᲑᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ ხალხის განათლების მოწინააღმდეგე, სიბნელის მომხრე.

ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘ—ნიჭიერი, კარგათ მოლაპარაკე ადამიანი. აგრეთვე სახალხო კრებაზე მოლაპარაკე.

ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲝᲑᲐ—თავისებურობა.

ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ—თავისებური, რომელიც სხვას არ ემსგავსება.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘ—მთელი ორგანოები ერთათ შეერთებული, მაგ. ადამიანი, ცხოველი და სხ.

Პ

ᲞᲝᲒᲠᲝᲛᲘ—აკლება, აწიოკება.

ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ—ყველასათვის გასაგებათ დაწერა ან გადაცემა რაიმე აზრისა და მოძღვრებისა.

ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ—საერთოთ ცნობილი, ყველასათვის გასაგები.

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ—წაქეზება რაიმე მავნებელ საქმის შესასრულებლათ. სხვისი ნდობის დამსახურება იმ აზრით, რომ გაიგო ყოველივე საიდუმლო და შემდეგ გასცე.

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲘ—მთავრობის აგენტი, რომელიც რომელიმე წრის ნდობას იმსახურებს და, როდესაც საიდუმლოებს გაიგებს, მთავრობას უაშკარავებს.

ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ—მეასედი ნაწილი,—იწერება ასეთის ნიშნით %. მაგ. 5% ნიშნავს ხუთს ყოველ ასზე.

ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ—თავი და თავი სახელმძღვანელო აზრი, ან წესი მოქმედების დროს.

ᲞᲣᲜᲥᲢᲘ—მუხლი, აღნიშნული ადგილი.

ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ—ქალისაგან თავისივე სხეულის გაყიდვა, რომ ამნაირათ ცხოვრების სახსარი მოიპოვოს და შიმშილით არ მოკვდეს. დღევანდელ კაპიტალისტურ წარმოების დროს აუარებელი ქალი მოკლებულია ცხოვრების სახსარს და იძულებულია ასეთ ხელობას მიმართოს. ეს ბოროტება მოისპობა მხოლოდ სოციალისტურ წესწყობილების დროს.

Რ

ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ—ცვლილებისა ან გაუმჯობესების შემოღება კანონმდებლობითი გზით.

ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲘ—რეფორმების შემომღები ან რეფორმების მომხრე.

ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐ—ვისიმე მოქმედების, აგრეთვე ფულების და ანგარიშების მდგომარეობის გასინჯვა.

Ს

ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲐ—საზოგადო გიგიენა; ყოველგვარი ზომები, რომელსაც აზრათ აქვს, დაიცვას საზოგადოების ჯანმრ ელობა და ააცილოს ავათმყოფობა. მაგ. ქალაქის გასუფთავება და სხ.

ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ—სანიტარიის კუთვნილი.

ᲡᲤᲔᲠᲐ—განსაზღვრული სარბიელი ანუ წრე მოქმედებისა.

Ტ

ᲢᲐᲠᲘᲤᲘ—მთავრობის ან დაწესებულების მიერ დაწესებული ფასები, მაგ. საქონლის გასაზიდი, ქონების დასაზღვევი და სხ.

ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ—საქონლის გადაზიდვა და საქონლის გადასაზიდავი საშუალებები.

Ფ

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ—ოცნება.

ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲣᲠᲘ—შეუსრულებელი, განუხორციელებელი.

ᲤᲐᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ—რწმენა ბედისწერისა და განგების აუცილებლობისა.

ᲣᲔᲪᲓᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

„ახალ დროების“ მე-5 №-ში, მე-3 გვერდზე, მარჯვენა სვეტზე, ქვევიდან მე-17—18 სტრიქონებში უნდა იყოს პროფესიონალური.

მე-5 გვერდზე, მარჯვენა სვეტზე—ფელეტონში უნდა იყოს: ხარხარით.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

პირველი კერძო სამკურნალო
ᲔᲥᲘᲛᲘᲡ

ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეების გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. ქირურგ., ვენერ. (სიფილისი და საშარდ. ავადმ.

Ჯ. Მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ: 9 ნახევ.—10 საათ. თვალისა, შინაგან და ნერვების ავადმყ.

Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲝᲕᲘ: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობ.

Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲘ: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერ. და ქირურგ. ავ დმყ.

Კ. Ი. ᲒᲙᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: 11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

Ა. Პ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ: 1—1 ნახევ. ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

Ა. Ი. ᲨᲩᲔᲠᲑᲘᲜᲘᲜᲐ: 1 ნახ.—2 ს. საბებიო, ქალთა და ბავშთა ავადმყოფობანი.

Გ. Ი. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲝᲕᲘ: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲑᲘᲗ:

Ა. Მ. ᲙᲣᲒᲘᲜᲣᲕᲘ: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

Ნ. Ზ. ᲐᲑᲘᲐᲜᲪᲘ: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფ.

Გ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ: 7—7 ნახ. ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი—მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი ე. მ. ჩიქოვანი

იღებს ავათმყოფებს ყოველ-დღე 12—2 საათ.—ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სახლი № 17.

11) ქარხნის სხვაზე გადაცემის დროს ხაზეინი ვალდებულია შეგირდები დააყენოს შესაფერ ადგილებზე ამავე პირობით და, თუ ქარხანა დაიკეტა, ხაზეინმა უნდა მისცეს თვითოეულ შეგირდს სამი თვის სრული ჯამაგირი.

12) გაფიცვისთვის არავინ იქნას დათხოვნილი და მასთან მოგვეცეს გაფიცვის დროის სრული ჯამაგირი...

გაფიცვა შეგირდებისა გამარჯვებით გათავდა. გაფიცვა გრძელდებოდა ერთ თვეს. ყველა მუხლები დაკმაყოფილებულ იქნა გარდა მერვე მუხლისა. განა შეეძლოთ ბატ. ხაზეინებს არ დაეკმაყოფილებია, როდესაც ხედავდენ თავიანთ პირდაპირ მჭიდროთ შეერთებულ ძალას ჯაბუკ მუშებისას! თუმცა კი ცდილობდენ ხაზეინები, ქარგლების საშუალებით მოეტყუებიათ შეგირდები, მაგრამ, ამაოთ! ქარგლები არც ისე ბრიყვები გამოდგენ, როგორც ბ. ხაზეინები ფიქრობდენ. მაშ, კიდევ გამარჯვება მუშებს და ზიზღი სისხლის მწოვარა ხაზეინებს, ბრძოლა და ბრძოლა მათ წინააღმდეგ!

ოსი მუშა.

—

მკერვალ-ხაზეინების კვაჭაძისა და მიქელაძის ოინები. ამ ორიოდე თვის წინათ ქალთა ტანისამოსის მკერვალმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მიუხედავათ აღების ოინებისა, მუშების ბრძოლამ თავისი გაიტანა და აღები იძულებული გახდენ მუშებისთვის დაეთმოთ. ამ კატეგორიის ყველა ქარხანაში მოისპო ნაჭრობით მუშაობა და დააწესეს თვიური მუშაობა, რვა საათის სამუშაო დღე და სხვა.

აღები პირველათ ამ მოვლენას არაჩვეულებრივ შეხვდენ: ფიქრობდენ, რომ მუშები იზარმაცებენ და თავის ხელფასს არ გააკეთებენო, მაგრამ მუშები შეგნებულათ და სინდისიერათ ასრულებენ თავის მოვალეობას და საქონელს თითქმის იმდენს ამზადებენ, რამდენსაც ნაჭრობით მუშაობის დროს 14—15 საათის განმავლობაში ამზადებდენ. აღებიც დარწმუნდენ მუშების სინდისიერ მოვალეობის ასრულებაში, რაიც გამოიხატა იმაში, რომ ზოგიერთმა აღამ კმაყოფილება გამოაცხადა. მაგრამ სულ სხვაა ბ. კვაჭაძის გაუმაძღარი მადა! მან წინათ სამ-ოთხ წელიწადში ათასები შეიძინა, სახლები იყიდა ორ-სამ ადგილას. ამ ვაჟ ბატონმა ამ ხნის განმავლობაში ბლომათ ამოსწოვა სისხლი მუშებს. ის დაჩვეულია მუშების გარეკას მაშინ, როცა სამუშაო დააკლდება. მას უყვარდა მუშების გამოჯავრება. როცა შობა მოახლოვდებოდა, ჩამოვიდოდა ქარხანაში და ირონიულათ იტყოდა: „პარტნოებო, ნემსები დაამოკლეთ, შობის ზარები დაკრესო!“ ასეთსა და ამისთანა ბევრ სხვა თავხედურათ მოქცევის საშუალებას აძლევდა ნაჭრობით მუშაობა. ეხლა-კი იცის, რომ მუშას უმიზეზოთ ვერ დაითხოვს და თუ დაითხოვს სამი თვის ჯამაგირი უნდა მისცეს.

ამიტომ ბ. კვაჭაძეს და მიქელაძეს მოუნდომებიათ მუშების ბრძოლით მოპოვებულ უფლებების წართმევა და, რადგან პირდაპირ წაღება ვერ გაუბედნიათ, მიუმართავთ შემდეგ ოინბაზობისათვის: 10 დეკემბერს ბ. კვაჭაძეს მოუწვევია ზოგიერთი აღები და მოულაპარაკებიათ შემდეგი:

ვითომც გუბერნატორის მოწერილობაა, რომ აღებმა მუშები ძველ პირობებში ამუშავონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა ემუქრება მათო! ასეთია ოინბაზობა ბ. კვაჭაძისა. მაგრამ, რა საჭიროა ასეთი ხრიკი, ბ-ნო კვაჭაძევ! სთხოვეთ გუბერნატორს და სიამოვნებით დაგეხმარებათ თქვენი როლის ასრულებაში! მხოლოდ გახსოვდეთ, ბ—ნო კვაჭაძევ და კომპ., რომ შორს აღარ არის ის დრო ხალხის სამსჯავროსი, რომლის წინაშე თქვენც პასუხს აგებთ.

საჯაოხელი.

რ უ ს ე თ ი.

—

საამშენებლო საქმეთა მუშების მოწოდება. თბილისის საამშენებლო მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა შემდეგი შინაარსის მოწოდება მიიღო: „ძვირფასო ამხანაგებო! გაუ

როგორც ხედავთ, მარქს-ენგელსის აზრით ,,რევოლიუციას იწვევს კიუვიეს ,,უცნობი მიზეზები'' კი არა, არამედ სრულიად გარკვეული და ცოცხალი საზოგადოებრივი მიზეზები, რომლებსაც ,,საწარმოო ძალთა განვითარება'' ეწოდება.

როგორც ხედავთ, მარქს-ენგელსის აზრით, რევოლიუცია მხოლოდ მაშინ ხდება, ,,როცა საწარმოო ძალები საკმაოთ დამწიფდება'', და არა მოულოდნელათ, როგორც ეს კიუვიეს ეგონა.

ცხადია, კიუვიეს კატაკლიზმებსა და დიალექტიურ მეტოდს შორის არავითარი ერთობა არა ყოფილა.

მეორე მხრივ, დარვინიზმი უარჰყოფს არა მარტო კიუვიეს კატაკლიზმებს, არამედ დიალექტიურათ გაგებულ განვითარებასაც მისი რევოლიუციით. მაშინ როდესაც დიალექტიური მეტოდის აზრით, ევოლიუცია და რევოლიუცია—რაოდენობითი და თვისებობითი ცვლილება—ორი აუცილებელი ფორმაა ერთი და იგივე მოძრაობისა.

ცხადია, არც ის შეიძლება ითქვას, რომ ,,მარქსიზმი... კრიტიკის თვალით არ უყურებს „დარვინიზმს''.

გამოდის რომ ორივეგან სცდება ,,ნობათი'', როგორც მეექვსე ნომერში, ისე მერვეში.

და აი, ეს ახირებული ,,კრიტიკოსები'' ჩაგვიეებიან: გინდა თუ არა, ჩვენი ტყუილი თქვენ მართალსა სჯობიაო!

დაბოლოს ანარხისტები გვიკიჟინებენ, რომ ,,დიალექ-

ტიკა... არ გვაძლევს საშუალებას გამოვიდეთ ან გამოვხტეთ თავის თავისაგან, ან და გადავახტეთ თავის თავსო“ (იხილე ,,ნობათი'' № 8. შ. გ.).

ეს კი სრული ჭეშმარიტებაა ბ. ანარხისტებო, აქ კაცამდის მართალი ხართ, პატივცემულნო,—დიალექტიური მეტოდი არ იძლევა ასეთ საშუალებას. მაგრამ რატომ არ იძლევა? იმიტომ, რომ ,,თვის თავიდან გამოხტომა და თავის თავზე გადახტომა'' თხების საქმეა, დიალექტიური მეტოდი კი ადამიანებისათვისაა გამოგონილი.

აი სად არის სეკრეტი!..

ასეთია საერთოთ ანარხისტების შეხედულება დიალექტიურ მეტოდზე.

ცხადია, ანარხისტებს ვერ გაუგიათ მარქს-ენგელსის დიალექტიური მეტოდი, მათ თავიანთი დიალექტიკა გამოუგონიათ და სწორეთ მას ებრძვიან ასე შეუბრალებლათ.

ჩვენ ის-ღა დაგვრჩენია, რომ სეირს უყუროთ და ,,სიცილს მივცეთ თავი'', რადგანაც არ შეიძლება არ გაგეცინოს, როცა კაცი თავის ფანტაზიას ებრძვის, თავის ოცნებას ანგრევს და თანაც გამწარებული გარწმუნებს—მტერსა ვკლავო.

კო...

წყებთ, რომ საამშენებლო საქმეთა პროფესიონალურ კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია დანიშნულია 1907 წლის 2 იანვარს. ამ წერილთან ერთათ გიგზავნით კონფერენციის სამუშაოს დღიურ წეს-რიგს და გთხოვთ, წერილის მიღებისთანავე გვაცნობოთ, თანახმა ხართ თუ არა მიიღოთ მონაწილეობა კონფერენციაში და დელეგატი გამოგზავნოთ, აგრეთვე თქვენი შენიშვნა დღიურ წეს-რიგის შესახებ.

ჟურნალ „მუშათა კავშირის“ რედაქცია.

საამშენებლო მუშათა სრულიად რუსეთის კონფერენციის მოწვევის ორგანიზაციული ბიურო. მოსკოვი, 24 ნოემბერი, 1906 წელი.

საამშენებლო საქმეთა პროფესიონალურ კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია.

დღიური წეს-რიგი.

I

მოხსენება სხვა-და-სხვა ადგილებიდან.

II

საამშენებლო საქმეთა მორიგი საგნები:

ა) სამუშაო დღე.

ბ) სამუშაო ქირა და მისი ფორმები.

გ) დაქირავების ფორმა-

დ) სამუშაოს უშიშროების უზრუნველყოფა.

ე) ჩვენი ხელობის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

ვ) შეგირდების მდგომარეობა.

III

კავშირთა მოძრაობის საღსარი:

პროფესიონალური ბრძოლა (გაფიცვა, ბოიკოტი და სხ.)

აგიტაცია. ბეჭდვითი ორგანოები.

ურთიერთ შორის დახმარება და კოოპერაცია.

კავშირები და სახელმწიფო.

კავშირები და ადგილობრივი თვითმართველობა.

IV

საამშენებლო საქმეთა კავშირების ადგილობრივი საგნები. შრომის ბირჟა საამშენებლო საქმეთა მუშათათვის.

V

კავშირების ორგანიზაციული მოქმედება:

ა) ადგილობრივ კავშირის შიგნით მოწყობა.

ბ) ადგილობრივ შეერთებულ კავშირებში მონაწილეობა.

გ) ორგანიზაცია ოლქებში.

დ) სრულიად რუსეთის საამშენებლო საქმეთა კავშირერების შეერთება.

— **საინტერესო ცირკულიარი.** სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეთა მეოთხე სრულიად რუსეთის სიეზდის საორგანიზაციო კომისიამ შემდეგი საინტერესო ცირკულიარით მიმართა ყველა ნოქრებს:

„ჩვენ, სავაჭრო-სამრეწველოების მოსამსახურენი დიდხანს ვეხვეწებოდით მთავრობას, მოეღო მოწყალება და გაეუმჯობესებია ჩვენი მდგომარეობა, თხოვნებს თხოვნებზე ვაძლევდით და იმედი გვქონდა, რომ მთავრობა მიაქცევდა ყურადღებას ჩვენ თხოვნას, მაგრამ ამაოდ! ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა-შინა. განა, ჩვენთვის მოიცლიდა მთავრობა?! მიუხედავათ ჩვენი თხოვნებისა, ჩვენი მდგომარეობა იოტის ოდენაც არ შეცვლილა, ჩვენ ისე გვაძრობდენ ტყავს, როგორც წინათ და არც არავინ ხელის-შემშლელი არ ყავდათ ჩვენს აღა-ხაზეინებს.

„ბოლოს, აივსო მოთმინების ფიალა. ცდა ამაო იყო. ჩვენ 1905 წელს თითქმის ყველა დიდრონ ქალაქებში წამოვაყენეთ მოთხოვნები სამუშაო დღის განსაზღვრის შესახებ. ასეთმა ჩვენმა გამოსვლამ თავზარი დასცა საზოგადოებას და მთავრობას. უკანასკნელმა კარგათ გაიგო, თუ რა როლს ვთამაშობდით ჩვენ თანამედროვე საზოგადოებაში.

„რა უნდა ექნა მთავრობას ასეთ დროს? მან ხრიკს მიმართა და მოინდომა ჩვენი ჩაჩუმება სხვა-და-სხვა დაპირებებით. ამ აზრით მან მიიწვია ჩვენი წარმომადგენლები პეტერბურგში თათბირზე. პირველ სხდომაზევე გაიგეს ჩვენმა წარმომადგენლებმა ამ თათბირის მიზანი, გაიგეს, რომ მისგან არაფერი საკეთილო არ გამოდნებოდა და 26 მათგანმა ხელათ მიატოვა სხდომა. მას შემდეგ აგერ წელიწადზე მეტი გავიდა და მთავრობას კრინტიც არ დაუძრავს ამ საპირ-ბოროტო კითხვის შესახებ. თითქო მან დაივიწყა ყველაფერი.

„ჩვენდა განსაცვიფრებლათ ის მოულოდნელათ სცემს კანონს! მთავრობამ უცბათ მოინდომა ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება. მერე და რამ გააგულკეთილა ასე მთავრობა? რამ აიძულა ის მოექცია ჩვენკენ ყურადღება?! აშკარაა, აქ ერთი მიზეზია. ეს ის მიზეზია, რომ მთავრობამ დაინახა, რა ძალას წარმოვადგენთ ჩვენ და მოინდომა ჩვენი მიმხრობა. მთავრობას უნდა მიგვიმხროს არჩევნების დროს.

„მაგრამ ვინც კი კარგათ ჩაუკვირდება კანონს, აშკარათ დაინახავს, რომ მთავრობას ძალიან იაფათ უნდა იყიდოს ჩვენი ხმები. მერე იცით, როგორ თვალთმაქცათ არის კანონი დაწერილი?! აღა-ხაზეინს შეუძლია ეს კანონი, როგორც უნდა, ისე გამოიყენოს, გინდ წალმა, გინდ უკუღმა. ავიღოთ სამუშაო დღე. კანონით ის განსაზღვრულია 10 საათით, მარა იქ სრულებით ნათქვამი არ არის სადილობის დროს დაიკეტოს მაღაზია თუ არა, ასე რომ ნამდვილათ 12 საათი გამოდის; ამ 12 საათიდან სამუშაო დღეს იმდენი შენიშვნები და სხვა-და-სხვა ხრიკები ახლავს, რომ ყველას თამამათ შეუძლია 14—17 საათიან სამუშაო დღეთ გადააკეთოს. ასე განსაზღვრულია კვირა-უქმეებში დასვენებაც. მცირე-წლოვანთა შრომა არ არის განსაზღვრული. კანონის ასრულებაზე თვალყურის დევნება ქალაქისა და ერობათა თვითმართველობათ ევალება, ვაჭრებისა და მოსამსახურეთა წარმომადგენლების—თანასწორათ თვითოეულ ჯგუფიდან, ასე რომ მოსამსახურეები მუდამ ნაკლები იქნებიან. გარდა ამისა, კანონით არავითარი სასჯელი არ არის დანიშნული, უკეთუ ვინმე დაარღვევს ამ კანონს.

„ასეთია მთავრობის ჩვენზე ზრუნვა, ასეთია მისი კანონი! ამ კანონით აღა-ხაზეინებს განუსაზღვრელი უფლება ეძლევათ ძველებურათ გვყვლიფონ და ზედ-მეტი მუშაობით სული ამოგვაძრონ. არჩევნების დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ყველა ეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთავრობა ჩვენ არაფერს მოგვცემს და ჩვენ ჩვენი ხმები უნდა მივსცეთ ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს და მით დავუმტკიცოთ მთავრობას, რა აზრისა ვართ ჩვენ მის კანონებზე.

„ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარტო ეს არ კმარა ჩვენთვის. მთავრობის კანონი, რამდენათაც შესაძლებელია, უნდა გამოვიყენოთ. ამ კანონიდან ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყველა იმით, რაც ხელს შეუწყობს ჩვენ მომავალ ბრძოლას 8 საათის სამუშაო დღის მოპოებისათვის. ამიტომ, საორგანიზაციო კომისია წინადადებას აძლევს ყველას,—დაუყოვნებლივ შეუდგენ 15 ნოემბრის კანონის ცხოვრებაში გატარებას“.

—

15 ნოემბრის კანონი და ვაჭრები. 15 ნოემბრის კანონი თუმცა თავისთავათ არაფერს არ წარმოადგენს და არავითარ შელავათს არ აძლევს სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეებს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, დიდი გავლენა მოუხდენია ვაჭრებზე. „პეტერბურგის გაზეთის“ თანამშრომელს ლაპარაკი ქონია ერთ ვაჭართან ამის შესახებ და, აი, რა უთქვამს ვაჭარს:

„ამ კანონის შემდეგ სადღა იქნება ის მამობრივი განწყობილება, რომელიც ამდენ ხანს იყო ჩვენ შორის. წინათ მოსამსახურეებიც ისე ცდილობდენ ვაჭრობის გაუმჯობესებაზე, როგორც ხაზეინები. წინათ, როცა მოსამსახურეები ხაზეინებთან ერთათ ცხოვრობდენ ერთ ოჯახში, ხაზიენები ისე უყურებდენ მათ, როგორც ოჯახის წევრს: მიყავდათ თეატრში, ყიდულობდენ მათთვის წიგნებს და ისე უვლიდენ, როგორც საკუთარ შვილს. ეხლა ისინი გაიყვენ: მათ შორის ვეებერთელა უფსკრულია, ყველა საკუთარ ინტერესებზე ფიქრობს! მე მხოლოდ ერთი-რამ მაწუხებს, როგორ მოიხმარებენ მოსამსახურეები კვირა-უქმე დღეების თავისუფალ დროს“. ასეთია ვაჭრის, ხაზეინის აზრი!

ტირიან ვაჭრები! ტირიან, რომ ინგრევა მათი პატრიარქალური ოჯახი და გათვითცნობიერებული მოსამსახურეები ისე ადვილი გასაყვლეფი აღარაა, როგორც წინათ.

—

მუშები და „რუსთა კავშირი“. ამას წინათ ადესის ნავთსადგურის მუშები გაიფიცენ. მიზეზი, როგორც საზოგადოთ ყოველგან, აქაც მეტი სამუშაო დრო და ნაკლები სამუშაო ქირა იყო. დაიწყო თუ არა გაფიცვა, უცბათ გაჩნდენ „რუსთა კავშირის“ წევრები და განაცხადეს, რაკი ესენი გაიფიცენ, ჩვენ მზათა ვართ ვიმუშაოთო. ამ გარემოებამ მემანქანეები, მექანიკები და სხვებიც აიძულა გაფიცულებს მიმხრობოდენ; მათ განაცხადეს, რომ შავრაზმელებთან ჩვენ არ ვიმუშავებთო. „ჭეშმარიტ რუსებმა“ მაინც გული არ გაიტეხეს და დაჟინებით თხოულობდენ მიღებას. შავრაზმელებს უნდოდათ როგორმე ჩაეშალათ გაფიცვა. ამის შესახებ „რუსთა კავშირის“ ადესის განყოფილების თავმჯდომარე კონოვნიცინს „ნოვოე ვრემია“-სთვის დეპეშა გაუგზავნია: „გაფიცვა გაგრძელდა“. რით გათავდება შავრაზმელების ბრძოლა ადესელ მუშებთან ამას მომავალი დაგვანახებს.

—

პეტერბურგის ბეჭდვითი საქმის მუშათ კავშირი და არჩევნები. პეტერბურგის ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირში ამჟამათ სულ 9 ათასი წევრი ითვლება. ახლა კავშირმა უნდა განიხილოს სახელმწიფო დუმაში არჩევნების შესახებ საკითხი. დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა,—ვალდებულია თუ არა კავშირი, როგორც უპარტიო, მისცეს ხმა არჩევნებში რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. ამ საკითხის განხილვამ სამი მიმდინარეობა გამოაჩინა. ერთი იმის მომხრეა, რომ პროფესიონალურმა კავშირმა, როგორც უპარტიომ, თავისი საკუთარი ვიბორშჩიკი და თითქმის დუმის წევრიც უნდა წამოაყენოს. ამ მიმდინარეობას ემხრობიან უმთავრესათ ისეთი ელემენტები, რომლებიც სრული წინააღმდეგი არიან, ჩაერიონ რომელიმე პარტია-კავშირის ცხოვრებაში; მეორე თუმცა იმის მომხრე არაა, რომ კავშირმა თავისი კანდიდატი წამოაყენოს, მაგრამ სავალდებულოთ სთვლის უპარტიო წევრის არჩევას.

ბოლოს, მესამე—სრული წინააღმდეგია კავშირის კანდიდატისა და უპარტიოს არჩევის.

საზღვარ-გარეთ.

—

ბელგია. ბელგიის პროფესიონალური მოძრაობა უძლიერესათ ითვლება საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. მას თავის დიდათ საყურადღებო ისტორია აქვს, რომლის განმავლობაშიაც ხან შეფერხება, ხან აყვავება გამოუცდია.

დღეს ბელგიის პროფესიონალური მოძრაობა ახალ გაცოცხლების ხანაში სდგამს ფეხს. წარსული წლის დეკემბერში სოციალისტური პარტიის-მიერ დანიშნულმა სინდიკალურმა კომისიამ გამოიკვლია პროფესიონალურათ შეკავშირებულ მუშების რაოდენობა და 148,483 წევრი იანგარიშა; ეს ნამდვილზე უფრო ნაკლებია, ვიდრე მეტი, და შეადგენს მთელი ბელგიის მამაკაც მუშათა მეხუთედს.

148,483-ში:

1) 94,151 ეკუთნის სოციალისტურ პარტიის პროფესიონალურ კავშირებს.

2) 17,814—კათოლიკურ კავშირებს.

3) 34,833—ნეიტრალურ კავშირებს, ე. ი. ისეთ კავშირებს, რომლებიც არცერთ პარტიას არ ეკუთვნიან.

4) 1,685—ლიბერალურს.

1889 წ. შეკავშირებულ მუშათა რიცხვი 62,350-მდე ადიოდა. მაშასადამე, 89 წ. აქეთ - თექვსმეტ წელიწადში. კავშირებს 86,133 ახალი წევრი მიმატებია. ეს კარგა საგრძნობელი ზრდაა!

მეორე ადგილი, როგორც ზემოთ ციფრებიდან სჩანს, წევრთა რაოდენობით ნეიტრალურ კავშირებს უჭირავთ. დღეს ბელგიის პროფესიონალურ სფერებში ერთ მწვავე კითხვათაგანათ არის გადაქცეული კითხვა: რომელი ორგანიზაციაა პროფესიონალურ მოძრაობისათვის უფრო შესაფერი—სოციალისტური თუ ნეიტრალური? აქამდის ეს კითხვა დიდ დავას არ იწვევდა. ნეიტრალური კავშირები ერთი-მეორეზე უერთდებოდენ პარტიას. უკანასკნელ თვეებში კი ცხარე ბაასს ამაზე ბოლო აღარ უჩანს. მესტამბეთა ძლიერმა კავშირმა არ ინდომა პარტიასთან შეერთება და ნეიტრალისტების სათავეშიაც ჩადგა. იქ, სადაც საქმე პრაქტიკულ ბრძოლაზე მიდგება, ნეიტრალური კავშირები გულითად დახმარებას უწევენ სოციალისტურებს; ნეიტრალურ კავშირებში წევრთა თვალსაჩინო რიცხვი სოციალისტები არიან, და პარტიაში შედიან. მაგრამ, როდესაც სახელწოდებაზე მიდგება საქმე, ეს კავშირები წინააღმდეგნი არიან, რომ მათ სოციალისტური უწოდონ და პარტიაში ჩარიცხონ. საჭიროა ისიც მოვიხსენიოთ, რომ ნეიტრალიზმი უფრო იქ დარჩენილა, სადაც პროფესიონალური მოძრაობა ჯერ ვერ არის მაგარი და ძლიერი.

ნიშნობლივი თვისება ბელგიის პროფესიონალური კავშირებისა არის უკან ჩამორჩენილობა მათი ცენტრალიზაციის მხრივ. არის ძლიერი ადგილობრივი კავშირები, მაგრამ მთლიან საქვეყნო ცენტრალისტურ ორგანიზაციებს იქ ჯერ ძალიან ნაკლებათ შეხვდებით. უკანასკნელ დროს ბელგიაში სწორეთ ამ ნაკლს მიაქციეს ყურადღება, და საუკეთესო კავშირები—მაგალითად, ლითონის მუშები, მბეჭდავები, მთა-მადნის მუშები ცდილობენ თვისი მუშაობა გააერთიანონ.

უკანასკნელ დროისავე მოვლენას შეადგენს ის, რომ ზოგ-ზოგ ალაგას პროფესიონალურ კავშირებს თავის პრაქტიკაში სხვა-და-სხვა ნაირი ურთიერთ დახმარება შეაქვთ, მაგალითად, დაზღვევა ავათმყოფობისაგან, სიბერისაგან, გაფიცვისაგან და უმუშევრობისაგან. ეს მით უფრო ხელსაყრელია, რომ ასეთ შემთხვევებში ადგილობრივი თვითმართველობის

ორგანოები კავშირებს თვალსაჩინო მატერიალურ დახმარებას უწევენ.

დანია. რამდენიმე ხნის წინათ დანიის პარლამენტში შეტანილ-იქმნა პროექტი, რომელიც იმით არის საყურადღებო, რომ უმუშევრობის საკითხის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შესაძლო გადაჭრას უახლოვდება. ამ პროექტით ხაზინას ევალება უკვე არსებულ უმუშევართა კასებში შეიტანოს ერთი მესამედი იმისა, რაც ამ კასებს უმუშევართა დახმარებაზე ფული მოუნდება. ამავე პროექტით ქალაქის თვითმართველობას უფლება ეძლევა უმაღლეს მთავრობის ნებადაურთველათ ერთი მეექვსედი თავის მხრივ შეიტანოს უმუშევართა კასაში. უმუშევართა კასა დანიაში ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირებს აქვთ თავისთან გამართული. თუ პროექტი მიღებულ-იქმნა, პროფესიონალური კავშირები დარჩებიან უმუშევართა დახმარების გამგეები და მთავრობა მათ გადასცემს სავალდებულო დახმარებას. ამგვარათ, სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობისა ძირს კი არ გამოუთხრის პროფესიონალურ კავშირებს, არამედ პირიქით გააძლიერებს.

როგორც ვიცით, ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა, რომელიც შარშანწინ მოხდა, ყველაზე უკეთეს საშუალებათ უმუშევრობასთან ბრძოლისა სახელმწიფო დაზღვევა სცნო. ამ აზრმა გერმანიის პროფესიონალურ კავშირებ შორის დიდი წინააღმდეგობა ჰპოვა. ამათ წარმომადგენლებს ასეთი საბუთი მოჰყავდათ: თუ სახელმწიფო ხელს მოჰკიდებს უმუშევართა დაზღვევას, პროფესიონალურ მოძრაობას ნიადაგი წაუხდება, რადგანაც პროფესიონალური კავშირები (მაგალ. თვით გერმანიაში „უკანასკნელ დროს) სწორეთ უმუშევართა დახმარებით იზიდავენ წევრებს. ამნაირათ გერმანელ კავშირებისათვის სახელმწიფო დაზღვევა უმუშევრობიდან საბედისწერო კითხვათ გადაიქცა. ზემოთ მოყვანილი დანიის პარლამენტის პროექტი საუკეთესოთ სჭრის ამ კითხვას.

ინგლისი. ბევრ საყურადღებო ცნობებს იძლევა უკანასკნელი კონგრესი მთა-მადნის მუშათა საერთაშორისო ასოციაციისა; ამიტომ თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ მაინც სასარგებლოთ მიგვაჩნია მათი აქ მოყვანა.

კონგრესზე დაესწრო 200-მდე დელეგატი, რომელიც სულ მილიონ ნახევარ მთა-მადნის მუშების წარმომადგენლები იყვენ,—გერმანიიდან, ინგლისიდან, ავსტრიიდან, შეერთებულ შტატებიდან და სხვა.

პირველი კითხვა ეხებოდა მადნის მღვიმეებში შრომის დაცვას. სხვა-და-სხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მუშათა ინსპექცია ყველგან ცუდათ არის დაყენებული: არც რიცხვით არის საკმაო და არც ორგანიზაციით შესაფერი. მაგალითად, ინგლისში, იორკშირის საგრაფოში 375 მადანში 1600 ვერს გალერეიაზე 80,000 მუშაზე სულ სამი ინსპექტორია. სხვა ქვეყნებშიაც ამაზე უკეთესათ არ არის საქმე დაყენებული. კონგრესმა ამ კითხვის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„აუარებელ უბედურ შემთხვევების ასაცილებლათ... საჭიროა, რომ მღვიმეების თვალყურის დევნება გადაეცეს მუშათა ინსპექტორებს, რომლებსაც მუშები აირჩევენ, და სახელმწიფო ჯამაგირს დაუნიშნავს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ ინსპექტორებს უფლება ჰქონდეთ, მღვიმეები დაათვალიერონ მაშინ, როცა ამას თითონ დაინახავენ საჭიროთ. მუშების თხოვნით ამ ინსპექტორებს უფლება უნდა ჰქონდეთ, მღვიმეებში მუშაობას კონტროლი გაუკეთონ დღითაც და ღამითაც, როცა კი მოინდომებენ.

მეორე კითხვა ეხებოდა დედაკაცის შრომას სამთა-მადნ მრეწველობაში. მღვიმეებში მუშაობა მეტის-მეტი მძიმეა მა კაცისთვისაც,—დედაკაცის აგებულებისთვის ხომ ის მომა დინებელია, მაგრამ, რადგანაც დედაკაცის შრომა აქაც ის როგორც სხვა ყველა დარგებში ძალიან იაფია, ხაზეინებ რომლებიც მშრომელთა ჯანმრთელობას არ დაგიდევენ, ყ ველთვის დედაკაცებს აძლევენ უპირატესობას მიღების დრო სილეზიაში მთა-მადნის მუშა მამაკაცი 1 მ. 17 კ.-ს იღებ დღეში დედაკაცი კი—34—45 კაპეიკს. ხაზეინები ეუბნებ მუშებს,—თუ გინდათ, ქალებს დავითხოვთ, თუ მამაკაცებ იმათ ფასში იმუშავებენო.

ბელგიაში წინათ მღვიმეებში—მიწის ქვეშ, დედაკაცებ მუშაობდენ. 1892 წ. კანონმა აკრძალა დედაკაცების მიწ ქვეშ მუშაობა და დღეს მადნის მთხრელი ქალები ბელგიაშ თითქმის აღარ არიან. სამაგიეროთ, მიწის პირზე მთა-მადნ სამუშაოზე ქალები ბევრია. 1904 წ. მათი რიცხვი 7,80 იყო, მათ შორის 300 ქალი—12—15 წლის ბავშვი.

კონგრესმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

კონგრესი მოითხოვს სამთა-მადნო მრეწველობაში დედ კაცის მუშაობის აკრძალვას.

ასეთივე რეზოლიუცია მიიღო კონგრესმა ბავშვებ შრომის შესახებ.

რვა საათიან სამუშაო დღის შესახებ გერმანელმა დ ფრანგმა დელეგატებმა შემდეგი რეზოლიუცია შეიტანეს:

კონგრესი მოითხოვს კანონმდებლობის გზით ყველა მთ მადნის მუშათათვის რვა საათიან სამუშაო დღის შემოღებ ისე, რომ ამ რვა საათში ჩაითვალოს მაღაროებში ჩასვლა დ ამოსვლა.

ამ რეზოლიუციის შესახებ გამოითქვა სხვა-და-სხვა აზრ ბი და თან სხვა-და-სხვა ქვეყნების შესახებ ცნობები იქნ მოყვანილი. კანონმდებლობითი რვა საათიანი სამუშაო დღ სამთა-მადნო მრეწველობაში მხოლოდ ინგლისში ყოფილა შ მოღებული.

ამერიკაში 1902 წ. 160,000 ანტრაციტის მუშამ ცხრ საათიანი სამუშაო დღე მოიპოვა. 225,000 ქვანახშირის მუშ რვა საათიანი სამუშაო დღე აქვს. მაგრამ ყველა ეს მოპოვებულია არა კანონმდებლობის გზით, არამედ ხაზეინთ კომპანიებთან მოლაპარაკებით. იქ ყოველ წელიწადს იკრიბებ ეგრეთ წოდებული „კონვენტი“, რომელიც ხაზეინების დ მუშების თანასწორი რიცხვისაგან შესდგება. წრეულს „მთ მადნის შეერთებულ მუშათა სინდიკატმა“ მოითხოვა ყველასა თვის რვა საათიანი სამუშაო დღე ჩასვლა-ამოსვლის შიგ ჩ თვლით, მაგრამ მოთხოვნილება ჯერ დაკმაყოფილებული არ იქნა.

გერმანიაში რამდენიმე მადანში $8^1/_2$ საათიანი მუშაობაა, მაგრამ მეტი წილი კი 12 საათს მუშაობს.

ბელგიაში მთა-მადნის მუშათა—7,95% (პროცენტი) 8 საათზე ნაკლებს მუშაობს; 7,48%—8-დან 9-მდე; 43,73% —9-დან 10-მდე; 38,32%—10-დან 12-მდე; 2,49%—12-ზ მეტს.

საფრანგეთში კანონით 8 საათიანი სამუშაო დღე პრინ ციპიალურათაა მიღებული, მხოლოდ ის ერთბაშათ კი არ იქმნა შემოღებული, არამედ თანდათანობით: ორ-ორი წლის შემდეგ ნახევარ-ნახევარ საათზე შეამოკლებენ.

კონგრესმა ბევრი საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ მიიღო ზემოთ მოყვანილი რეზოლიუცია.

საყურადღებო იყო აგრეთვე მსჯელობა მინიმალურ ხელ-

ფასის *) შესახებ. ამ კითხვას წინა კონგრესებიც დიდი ყურადღებით ეხებოდენ და გადაწყვეტით არა მიუღიათ რა. სხვა-და-სხვა დელეგატების ნათქვამიდან გამოირკვა შემდეგი:

ინგლისში მადნების უმეტეს ნაწილში მინიმალური ხელფასია შემოღებული, და 5% კიდევაც მოუმატნია. მინიმალურ ხელფასს, რა თქმა უნდა, მხოლოდ კრიზისების დროს აქვს მნიშვნელობა, რადგანაც მრეწველობის აყვავების ხანაში ხელფასი ბევრათ მაღლა იწევს. ინგლისელი დელეგატის სიტყვით, კრიზისის დროს მისი სარგებლობა მუშებისთვის 60 მილიონ მანეთს უდრის, ე. ი. მინიმალური ხელფასი რომ არ ყოფილიყო შემოღებული და ხელფასს კრიზისის გავლენით ბუნებრივათ დაეწია, მუშებს დააკლდებოდათ 60 მილიონი. საყურადღებოა კიდევ შემდეგი გარემოება: იქ, სადაც ჭუშის ხელფასი მოჭრილ ქვანახშირის რაოდენობაზეა დამოკიდებული, ზოგ ალაგას, თუ მძიმე სამუშაოა, მუშები დადებულ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს დაიმუშავებენ. ამ შემთხვევაში ხაზეინები იხდიან ეგრეთ წოდებულ ,,კომპენსაციას'', ე. ი. იმას, რაც დადებულ მინიმუმს დააკლდება.

საფრანგეთის დელეგატების რეზოლიუცია მოითხოვდა მინიმალურ ხელფასის შემოღებას კანონმდებლობის გზით. დანარჩენ დელეგატთა უმრავლესობა წინაალმდეგი გახდა ამ სიტყვებისა— ,,კანონმდებლობის გზით''. ფრანგებმა საბუთათ ის წამოაყენეს, რომ საჭიროა პროფესიონალურ მოქმედებას კანონმდებლობა მხარს უმაგრებდეს. ბოლოს ეს სადაო სიტყვები ფრანგებმა უკან წაიღეს და რეზოლიუცია ერთხმათ მიღებულ იქმნა.

სტატისტიკა.

„Berliner Tageblatt"-ი გადმოგვცემს შემდეგს:

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ ორგანოში მოყვანილია შემდეგი სტატისტიკა გაფიცვებისა და უნებურათ მუშაობის შეწყვეტის შესახებ 1905 წელში. სოციალ-დემოკრატიულ პროფესიონალური კავშირების თავოსნობით ამ აღნიშნულ წელში მომხდარა 1261 თავდასხმითი გაფიცვა, 809 თავდაცვითი, 253-ს კი მხარი დაუჭერიათ უკანასკნელებისთვის. გაფიცულთა რიცხვი უდრის 507.964 კაცს, აქედან 473.039 მამაკაცია და 34,925 დედაკაცი. ამ ერთი წლის განმავლობაში გაფიცულთა რიცხვი იმდენია, რამდენიც იყო სულ ერთათ 1900 წლიდან—1904 წლამდის. მთელი ეს გაფიცვები დაჯდა 10,9 მილიონი მარკა *) ამ ფულიდან პროფესიონალური კავშირის კასამ დახარჯა 8,1 მილიონი მარკა. ამ გაფიცვებიდან სრული გამარჯვებით გათავდა 53,6 პროცენტი, 23,5 პროცენტი ნაწილ-ნაწილი გამარჯვებით, 21 პროცენტი-კი სულ უშედეგოთ. 414.703 მუშის, მოკლეთ $^4/_5$ მთელ მონაწილეთა დაკარგული დრო და სამუშაო ქირა უდრის 7,3 მილიონ დღეს და 28,8 მილიონ მარკას. რამდენათ დიდია ეს რიცხვი, სჩანს იქიდან, რომ 1900 წ. ამავე მიზეზით დაკარგულა მხოლოდ 4,4 მილიონი მარკა—სამუშაო ქირა, 1900 წლიდან 1905-დე კი 56,5 მილიონ მარკამდის ადის.

დეკემბრის 27-ს ბერლინში დანიშნულია პრუსიის სოციალ-დემოკრატიის მეორე პარტეიტაგი. გასარჩევი კითხვები შემდეგია.

1. პრუსიის ორგანიზაციები. მოხსენებას წაიკითხავს რეიხსტაგის წევრი ჰაზე (კენიგსბერგიდან), 2. პრუსიის ლანდტაგის მოქმედება და არჩევნებითი უფლება პრუსიაში. მოხსენებას წაიკითხავს ედმუნდ ადლერი (კილიდან), 3. პრუსიის მუშათა მდგომარეობა. მოხსენებას წაიკითხავს რეიხსტაგის წევრი ლეგინი, 4. 1908 წლის არჩევნები ლანდტაგში. მოხსენებას წაიკითხავს დოქ. ლეო არონსი.

წელს გამოვიდა საერთაშორისო ანგარიში 1904 წლისა 15 სახელმწიფოში პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ, თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოს შესახებ ცნობები სრულიად არ არის მოყვანილი, მაგრამ გამოქვეყნებული ანგარიშიც მაინც საკმაოთ გვიხატავს დიდ სურათს მუშათა პროფესიონალურ მოძრაობისა. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს 1904 წელს პროფესიონალურ კავშირებში ირიცხებოდა: ინგლისში—1 მილიონი 889 ათასი 590 წევრი, ნიდერლანდიაში—37 ათას 221, დანიაში—89 ათას 788, შვეიცარიაში—104 ათას 999, ნორვეგიაში—16 ათას 227, გერმანიაში—1 მილიონ 466 ათას 625, ავსტრიაში—205 ათას 651, ვენგრიაში—53 ათას 169, სერბიაში— 2 ათას 932, ბოლგარიაში—1 ათას 672, შვეიცარიაში—41 ათას 862, იტალიაში—260 ათას 102, ისპანიაში—56 ათას 900, ბელგიაში —ცენტრთან შეკავშირებულ პროფეს. კავშირებში—20 ათასი, საფრანგეთში—715 ათას 576 წევრთ. ამნაირათ, ევროპის 15 სახელმწიფოში სულ ყოფილა პროფესიონალურ კავშირებში დაახლოვებით 5 მილიონამდე მუშა, ამათგან ყველაზე მეტი ინგლისშია. ამ ანგარიშში არ არის შეტანილი ევროპის სამრეწველო ქვეყნებიდან მხოლოდ პორტუგალია, საბერძნეთი, რუსეთი და ფინლიანდია.

რაც შეეხება შემოსავალ-გასავლის ანგარიშს, მოყვანილი ცნობები მხოლოდ 11 სახელმწიფოსი, და ისიც ზოგიერთ პროფესიონალურ კავშირებისა, სახელდობრ, 487 პროფესიონალურ კავშირისა, რომელთა წევრების რიცხვი თითქმის ორ მილიონამდეა, მარტო ამ კავშირებს საერთო წლიური შემოსავალი ჰქონია 48 მილიონ 728 ათას 247 მარკა (მარკა უდრის 40—50 კაპეიკს), საერთო გასავალი ამ წელს 45 მილიონ 703 ათასამდეა. კასაში დარჩენიათ წლის ბოლოს ნაღდ ფულათ 71 მილიონ 937 ათას მარკამდე

ესე იგი, წინა წლიდან დარჩენილ თანხასთან ერთათ ამ კავშირებს საერთოთ აქ ნაჩვენებ გასავლიდან დაუხარჯვას გაფიცვაზე 8 მილიონ 103 ათას მარკამდე; აქედან მარტო გერმანიას დაუხარჯავს გაფიცვებზე 5 მილიონ 870 ათასამდე, ინგლისს-კი, სადაც საერთო გასავალი ყველაზე მეტია, გაფიცვებზე დაუხარჯავს მხოლოდ 753 ათისამდე, რაიც უნდა აიხსნას იმით, რომ ინგლისში ყველაზე უფრო ძლიერია პროფესიონალური კავშირები, რომელნიც მოსალოდნელ გაფიცვის შიშითაც აიძულებენ ხოლმე კაპიტალისტებს წვრილმან დათმობას. პროფესიონალურ გაზეთების გამოცემაზე დაუხარჯავთ საერთოთ ყველა ზემოხსენებულ კავშირებს 1 მილიონ 620 ათასამდე, უმუშევართა სამგზავროთ და დასახმარებლათ 11 მილიონ 773 ათასამდე; აქედან ყველაზე მეტი, თითქმის 8 მილიონამდე, ინგლისს დაუხარჯავს, როგორც სჩანს, ინგლისში ყველაზე მეტი ყოფილა უმუშევართა რიცხვი და დახმარების საქმეც შედარებით უკეთესათ არის მოწყობილი. შემდეგ ავათმყოფ წევრებზე საერთოთ დახარჯულა 5 მილიონამდე, მოხუცებულ და ინვალიდ მუშებზე—1 მილიონ 298 ათასამდე, კავშირების საქმეების მართვა-გამგეობაზე—6 მილიონ 539 ათასამდე.

---

*) ხელფასის რაოდენობა, რომელზე ნაკლებსაც არცერთი მუშა არ უნდა იღებდეს.

*) მარკა—47 კაპეიკს უდრის.

ვიმეორებ, რომ ეს ანგარიში შეეხება მხოლოდ 11 სახელმწიფოს და ისიც ორ მილიონ წევრებს, დანარჩენ სამ მილიონ შეკავშირებულ მუშების შემოსავალ-გასავლის ცნობები საერთო ანგარიშში არ არის ნაჩვენები. საერთაშორისო ანგარიშში არ არის აგრეთვე არავითარი ცნობები ამერიკის შეერთებულ შტატების პროფესიონალურ კავშირების შესახებ, თუმცა თავის წევრთა რაოდენობით შეერთებული შტატების კავშირები ინგლისის კავშირებზედაც მეტია. 1903 წელს გამოქვეყნებულ ცნობებით, შეერთებულ შტატებსა და კანადაში კავშირებში ითვლებოდა ორ მილიონ ნახევარი წევრი, ინგლისში 1904 წელსაც კი კავშირების წევრთა რიცხვი ორ მილიონზე ნაკლებია, როგორც ეს ზემოთ დაინახეთ. მაგრამ, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, თითქოს ინგლისის კავშირები ამერიკის კავშირებზე სუსტი იყოს, პირიქით, ინგლისში კავშირები უფრო ძლიერნიც არიან საქმის ცოდნით, სოლიდარობითა და მნიშვნელობით; საზოგადოთ, ინგლისი კლასიკური ქვეყანაა მუშათა პროფესიონალურ მოძრაობისა. მთელი გასული საუკუნე ინგლისის ისტორიისა სავსეა ინგლისის ტრედუნიონების მოძრაობით (ინგლისში ტრედუნიონებს ეძახიან პროფესიონალურ კავშირებს). აქ პროფესიონალური მოძრაობა ყველაზე ადრე დაიწყო, ამიტომ ყველაზე ძლიერიც არის.

ამხანათ რუსეთში სწარმოებს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. მთელი რუსეთის მუშა ხალხი გაფაციცებით ემზადება არჩევნებისათვის, ამ აზრით ყოველგან მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციები, თუ პროფესიონალური კავშირები მართავენ გამუდმებით კრებებს, მიტინგებს, ეწევიან პროპაგანდა-აგიტაციას, უხსნიან შეუგნებელ ამხანაგებს არჩევნებისა და დუმის მნიშვნელობას, აცნობენ მუშათა პროგრამას და მის სადღეისო ლოზუნგებს — თვითმპყრობელობის მოსპობისა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდების აუცილებლობას და რევოლიუციონურის გზით სრულ-უფლებიან დამფუძნებელი კრების მოწვევის საჭიროებას და სხვას. შეგნებული მუშები ერთ წუთსაც არ ივიწყებენ, რომ დუმა ერთგვარი იარაღია მხოლოდ, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დუმას გარეთ აშკარა ბრძოლას ძალა-უფლების მოპოვებისათვის, რომ დუმას თავისთავათ არაფრის მოცემა არ შეუძლია, ვინაიდან მას არა აქვს ამის უფლება; კიდეც რომ ჰქონდეს, არ მოინდომებს ამას, რადგან ის ხალხის-მიერ თანასწორათ არჩეული კი არ იქნება, არამედ მდიდრებისაგან. მდიდრების დამცველნი მეტი იქნება, ვინემ ხალხის-მიერ არჩეულნი და ხალხის დამცველნი... აი, როგორ უთანასწოროთ არის მოწყობილი დუმის არჩევნების საქმე: კანონით მთელი რუსეთის მცხოვრები დაყოფილია ოთხ ჯგუფათ ანუ კურიათ — მემამულეთა კურია, რიცხვით 4 მილიონი, — ირჩევს 2231 ამომრჩეველს, ქალაქის მცხოვრებთა (ანუ ფაბრიკანტთა და ვაჭართა) კურია — რიცხვით 14 მილიონი, — ირჩევს 3455 ამომრჩეველს, გლეხებისა — რიცხვით 78 მილიონი, ირჩევს 2726 ამომრჩეველს, ხოლო მუშებისა — რიცხვით 21 მილიონი, ირჩევს 237 ამომრჩეველს. როგორც ხედავთ, მუშას 45-ჯერ ნაკლები ხმა აქვს, ვიდრე მემამულე აზნაურს და 22-ჯერ ნაკლები, ვიდრე ფაბრიკანტსა და ვაჭარს. ამნაირათ, 4 მილიონი მემამულე და 14 მილიონი ქალაქის შეძლებული ნაწილი, ე. ი. 18 მილიონი ირჩევს ერთათ (2231+3455)=5686 ამომრჩეველს; ხოლო ხალხი, ესე იგი, საზოგადოების მშრომელი უმრავლესობა — გლეხკაცობა და პროლეტარიატი, რიცხვით ორივე ერთათ 99 მილიონი, ირჩევს (2726+237)=2963 ამომრჩეველს. აქედან, აშკარაა, რომ მემამულეთა და ვაჭარ-კაპიტალისტების 5681 ამომრჩეველი უსათუოთ თავიანთ დეპუტატებს გაიყვანენ დუმაში, გლეხკაცებისა და მუშების 2963 ამომრჩეველის წინააღმდეგ. მაშ, ცხადია, რომ მოსავალი დუმაც თავის უმრავლესობით მემამულეთა და ქალაქის მდიდარ მცხოვრებთა ინტერესების დამცველი უფრო იქნება, ვინემ მთელი ხალხის, ე. ი. მუშებისა და გლეხკაცების ინტერესებისა.

კავშირებში.

—

ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდათ: **თბილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭოს დადგენილებანი:** I. **გაზეთ „ზარი“-ს შესახებ:** „ვიღებთ-რა მხედველობაში: 1) რომ გაზეთ „ზარი“-ს რედაქცია, აცნობებს-რა საზოგადოებას „თბილისის პროფესიონალურ კავშირების მუშათა დეპუტატების საბჭოს“ კრების შინაარსს, იხსენიებს თბილისის მოსამსახურეთა კავშირს, სადაც შედიან რესტორანების, სასტუმროების, ნომრების, ტრაქტირების, სირაჯების, სარდაფების და ოჯახების ყველა მოსამსახურეები, განურჩევლათ რწმენისა, ეროვნებისა, სქესისა და ხელობისა, „ლაქიების“ კავშირათ, რიცა ვითომდა ამცირებს მოსამსახურეთა კავშირს და მით შეულს თესავს მოსამსახურეთა კავშირის წევრთა შორის, — 2) რომ თავით ბოლომდე შეგნებულათ და არა შემთხვევით ამა-ხინჯებს ფაქტებს და მიმართავს პროვოკატორულ ხრიკებს, რაც ალაგ-ალაგ ემჩნევა წერილს, ამისათვის თბილისის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის საბჭო უცხადებს „ზარი“-ს რედაქციას ზიზღსა და ბოიკოტს. საბჭო მიმართავს ამხანაგებს, — იქონიონ ამის შესახებ მსჯელობა და გამოიტანონ შესაფერი დადგენილება.

II. **უმუშევართა შესახებ:** ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ წინანდელ საბჭოს დადგენილების თანახმათ, ბევრ ალაგას შეგნებული ამხანაგები უთმობენ უმუშევრებს ადგილს სამი თვით და მასთან ერთად აუცილებლად საჭიროა მატერიალური დახმარების აღმოჩენა უმუშევრებისათვის, ამისათვის კავშირის საბჭო განმეორებით წინადადებას აძლევს უმუშევართა დამხმარე კომისიას, რაც შეიძლება დაჩქარებით მოკრიბოს ფული უმუშევართა სასარგებლოთ და საზოგადოთ ამის შესახებ მიიღოს ყოველგვარი ზომები, თანახმად საბჭოს დადგენილებისა.

III. **პროპაგანდა-აგიტაციის შესახებ:** ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ ხაზეინებთან ბრძოლის ერთათ-ერთი საუკეთესო იარაღთაგანი შეგნება-განვითარებაა და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ გვეყოლება ამისათვის სპეციალურათ მომზადებული პროპაგანდისტ-აგიტატორები, ამისათვის თბილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭო აუცილებლად საჭიროთ სცნობს აიყვანოს კიდევ ოთხი პროპაგანდისტი, სამი ქართველი და ერთი რუსი და მისცეს მატერიალური დახმარება თვითოეულს 25 მანეთი თვეში; თვითოეულ პროპაგანდისტს დღეში ორი წრე უნდა ყავდეს.

—

თბილისის ლუდის მხარშველ მუშათა პროფესიონალური კავშირის საბჭოს დადგენილებანი: ერთ თვეზე მეტი არ იქნება, რაც ეს კავშირი დაარსდა. წევრთა რიცხვი 150-ს აღემატება. მუშები დიდი თანაგრძნობით მიეგებენ კავშირის დაარსებას. მოგვყავს აქ კავშირის საბჭოს ორი რეზოლიუცია.

I. საბჭო იღებს-რა მხედველობაში, რომ კავშირის თვითოეული წევრი ვალდებულია, თავი დაიცვას ისეთი საქციელისაგან, რომელიც კავშირს ჩირქს მოსცხებს:

1) უზომო სიმთვრალისაგან.

2) ქუჩაში ან ქარხნებში ადამიანის შეურაცჰყოფისაგან—სიტყვით, თუ ხელით.

3) ქურდობა-ავაზაკობისაგან.

კავშირი ადგენს, რომ ვინც რაიმე ასეთ საქციელს ჩადენს, ის გამორიცხულ-იქნება კავშირიდან და გაზეთის საშუალებით საზოგადოებას ეცნობება მისი კავშირიდან გამორიცხვის მიზეზი.

II. ვინაიდან ყველამ კარგათ იცის, რომ ლუდის ქარხნებში უზომო ყინული ინახება და ამისთვის კი ბევრი დღიური მუშაა საჭირო, ამისათვის საბჭომ იქონია მსჯელობა და დაადგინა შემდეგი: ვინაიდან ყინულის მუშაობა ერთ დროულია და დიდხანს არ გრძელდება, ამისთვის ვაძლევთ წინადადებას იმ მუშებს, რომელნიც ყინულის სამუშაოს დროს ჩვენთან დარჩებიან—არ იმუშაონ დღეში რვა საათზე მეტი და მანეთზე ნაკლები დღეში არ აიღონ. იმედია ყინულის შემნახავი მუშები მიაქცევენ ყურადღებას ჩვენ დადგენილებას და მას გაატარებენ ცხოვრებაში.

—

თბილისის თონის პურის-მცხობელ მუშათა კავშირის ბიუროს დადგენილება: ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ დათიკო არჩვაძემ (ავჭალის ქუჩა, ავჭალის სახალხო აუდიტორიის პირდაპირ) ფეხქვეშ გათელა ბრძოლით მოპოვებული უფლებები: 1, სრულიად უმიზეზოთ დაითხოვა ორი მუშა და მათ ადგილას აიყვანა თავისი მოკეთეები და 2, ლანძღვა-გინებით იხსენიებს ჩვენს კავშირს და კიდევაც გვექადნის,—ამისათვის თბ. თონის პურის-მცხობელ მუშათა კავშირის ბიურო: 1,—ბოიკოტს უცხადებს დათიკო არჩვაძეს, სანამ ის არ დააკმაყოფილებს მუშებს; 2,—მოუწოდებს ამხანაგებს და მიმართავს პატივცემულ საზოგადოებას მტკიცეთ დაიცვას ბოიკოტი და 3,—ზიზღს უცხადებს იმ მუშებს, რომლებიც ბ. არჩვაძესთან დღეს მუშაობენ და უმიზეზოთ დათხოვნილ მუშების ალაგს იჭერენ.

მუშათა და მკითხველ საზოგადოების საყურადღებოთ.

(ღია წერილი „ზარის" რედაქციას).

იმ დროს, როცა საზოგადოების განვითარება ელექტრონის სისწრაფით წინ მიდის, ცხოვრება თავის კალაპოტში ვერ ეტევა და გადმოდუღს, არსებულ ბიუროკრატიულ წეს-წყობილებით ყველა უკმაყოფილებას გრძნობს: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ქალაქის პროლეტარიატი და სოფლელი მუშა; რევოლიუციის ალი თანდათან ზევით ვარდება, მთელი რუსეთი რევოლიუციის ალს მოუცავს, მთელი ჰაერი მოწამლულია პოლიციური მთავრობისაგან; მართებლობა თავის სიცოცხლის შესანარჩუნებლათ არ ინდობს არც ახალგაზდას, არც მოხუცებულს, არც ქალს, არც ძუძუ-მწოვარა ბავშვს,—საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები თავისუფლების ათვის სახრჩობელაზე აყავთ, ციხეების უქონლობის გამო მთავრობა იძულებულია კერძო სახლები დაიქირაოს თავის მოწინააღმდეგეების დასამწყვდევათ; ციხეებით, გადასახლებით, სახრჩობელათი წუთისოფელს ასალმებენ საუკეთესო მოწინავე. შეგნებულ ამხანაგებს, აუარებელი მსხვერპლი იწირება თავისუფლების ზვარაკათ; როცა თითოული შეგნებული ამხანაგი ძვირათ გვიღირს, რომ განაგრძოს გზა აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელათ, სოციალიზმის განსახორციელებლათ, როცა თვითოეული ჩვენგანი მოვალეა ხელი შეუწყოს საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობას, სწორეთ ამ დროს გაზეთ „ზარის" პირველ ნომერში ვკითხულობთ შეგნებულ „პრავოკატორის" წერილს, რომელიც თავის წერილის შინაარსით მართებლობას ხელს უწყობს, რომ თუ კიდევ დარჩა შეგნებული ამხანაგები, იმათზედაც მიუთითოს პოლიციურ მთავრობას, და მით ხელი შეუშალოს პროლეტარიატის წინსვლას. მერე რისთვის ჩადის ამაებს? იმისთვის, რომ ერთმა ჩამორჩენილმა ნაწილმა დაქირავებული მუშებისამ (როგორიც ვიყავით ამდენხანს მოსამსახურეები), ყველასაგან დავიწყე უბლებმა, ვიხელმძღვანელეთ რა დიდებულ მოძღვრის, კ. მარქსის გამოკვლევით, რომელიც ამბობს—თითონ მუშებმა უნდა გაინთავისუფლონ თავი სხვისი მონობისაგანო,—ღრმათ დარწმუნებულებმა, რომ ჩვენთვის არც მართებლობა, არც ბურჟუაზია და არც „მწერლობა" არ გაიცხელებდა თავს (თუ რომ დასწერდენ მოთხრობა-რომანებში მხოლოდ იმაზე, რომ ქალბატონს „სოუზი" გადაასხა კაბაზე და გაუფუჭაო მოუხეშავმა „ლაქიამ"), თუ თითონ ჩვენ არ ვუშველიდით ჩვენს თავს, ხსნა არსაიდან სჩანდა, ღრმათ დარწმუნებულებმა მასში, რომ ჩვენ თითონ უნდა დაგვეხსნა თავი მონობის უღლიდან, მივყავით ხელი თვით-განვითარებას, და ჩვენი უხერხული მდგომარეობის გაუმჯობესებას... კითხვა, რომელიც მოსამსახურეებს მოსვენებას არ გვაძლევდა, რათა ვართ საზოგადოების თვალში ათვალწუნებული, რისთვის გვანსხვავებს საზოგადოება სხვა ადამიანებმაო,—გამოვარკვიეთ და დავარწმუნდით, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მოსამსახურეებს ადამიანებათ არ თვლის, საღ მსჯელობას მოკლებულია და ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ასეთი შეხედულობა აქვს მოსამსახურეებზე, შეუგნებელნი არიან, სცდებიან ისინი და ათასჯერ სცდებიან! მართალია, ჩვენ არ ვქმნით მეტ ღირებულებას, ჩვენს შრომას, მართალია, თვალსაჩინო სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ, რა ვქნათ?! განა ეს ჩვენი ბრალია, რომ გვამციროს ვინმემ და ჩაგვწიხლოს?! ეს ჩვარგუნა წილათ ბურჟუაზიულმა ხანამ და უნდა დავემორჩილოთ ხვედრს მანამდის, სანამ ასეთი უთანასწორობა ძირიან-ფესვიანათ არ ამოიფხვრება. ჩვენ გვაიძულებდა და გვაიძულებს გაჭირვება—აგვეტანა ყოველივე დამცირება, ლანძღვა-გინება, მანამდის, სანამ ჩვენ ამხანაგებს ვერ შეეგნო ამის მიზეზი; სანამ ჩვენ თითონ არ შევიგენით, მანამდის ჩვენთვის არავის გაუცხელებია თავი! რა გვექნა, რომ არ აგვეტანა ათასი დაბრკოლება და დამცირება?! გვყავს ცოლი, შვილი, ღარიბი ნათესავები და მოკლებული ვართ კერძო საკუთრებას!.. ბატონ-ყმობის გაყრამ მამულ-დედული გამოგვაცალა და ქალაქში გამოგვრეკა; ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებულია ჩვენს მუსკულებზე, ჩვენს ძარღვებზე, ჩვენს მარჯვენაზე... გამოვდივართ ბაზარზე და ვყიდით ჩვენს სამუშაო ძალას; თუ ვერ გავყიდით იმ ერთათ-ერთ ჩვენს საკუთრებას—სამუშაო ძალას, შიმშილი გვიმსხვერპლებს... ამასთანავე კაპიტალისტებს მხოლოდ მაშინ უნდებვართ, როცა ჯანსაღი ვართ, როცა ჯანი გამოგველევა გვისვრის ქუჩაში, როგორც მისთვინ გამოუსადეგარ ნივთს... ყველას თვალში დამცირებული ვართ; არც მთავრობა, არც ბურჟუაზია, ჩვენში ადამიანს არ ხედავს, (ან რა გასამტყუნარია; ისინი ხომ მუდამ უკულმა ფიქრობენ!!). განსხვავებას მხოლოდ საზოგადოების გონება-განვითარებულ ნაწილში, ესე იგი, ინტელიგენციაში ვხედავდით, მაგრამ არ გაგიწყრეს ღმერთი, იმაშიაც საკმაოთ მოვსტყუვდით... რაცხა ინტელიგენციაა, იმაშიაც განსხვავება ყოფილა თურმე, იმათშიაც ყოფილა ბურჟუაზიული და სხვაგვარი... ზოგიერთებში იმას ვხედავ, რასაც ბიუროკრატიაში და ბურჟუაზიაში! ხშირათ შემხვედრია, სამწუხაროთ, არა-ბურჟუაზიულ წრეებშიაც ინტელიგენტი და ინტელიგენტი რომ ჩხუბობდენ (თუ საჭირო იქნება თავის დროზე ბევრს დავასახელებ), ერთმანეთს ასე აგინებდენ: „Ты лакейскимъ духомъ пахнешь, я съ ла-

кеемъ не стану разсуждать, я не твой лакей", და სხვა ამ გვარი მარგალიტები და უარესიც... დიდად სამწუხაროა ინტელიგენტის ასეთი მოქმედება!.. ასე გვიცქერიან ზოგიერთი მარილნი ამა ქვეყნისანი! არც ერთს ევროპის ქალაქში, მგონი, არ არის მოსამსახურეების პიროვნება გათელილი ფეხქვეშ ისე, როგორც რუსეთში; ვერსად ვერ ნახავთ დღეს შეგნებულ ნაწილში ის შეხედულება ქონდეს ვინმეს მოსამსახურეებზე, როგორიც აქვს ბ-ნ ,,ზარის'' თანამშრომელს... არც ერთი რევოლიუციონერი არ შეხედავს ისე მოსამსახურეებს, როგორც ,,ზარის'' თანამშრომელი უცქერის... გვიკვირს „ზარის" თანამშრომლიდან, რომ ასეთი შეხედულების არის ჩვენზე, მარა, რას იზამ, ალბათ „ზარის" მაგიერათ ღირსია ის უწოდოთ „სარაკუნე" *), ზედ გამოკრილი სახელი იქნებოდა გაზეთისათვის!

ბევრი ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ მოსამსახურეებმა, სანამ დაუმტკიცებდით საზოგადოებას,—ჩვენც ისეთი ადამიანები ვართ, როგორიც თქვენო. წინათ, მართალია, არ ეკაშნიკებოდათ ეს, მაგრამ, ბოლოს მაინც მოინანიეს ცოდვები და ძალაუნებურათ წავიდენ დათმობის გზაზე... ახლა ლაქიის მაგიერ ხმარობენ—მოსამსახურეს, ან და სტოლზე მოსამსახურეს. ამასვე შეხვდებით ლიტერატურაშიც ამ ბოლო ხანებში. „ლაქია" ბიუროკრატის სახელია, რომელიც ცდილობს ძველი წეს-წყობილება დაიცვას და ჯვარ-მენდალი მიიღოს, მეოცე საუკუნეში და ისიც ამ დროს „ზარის'' 1 №-ში თუ წაიკითხავთ, თორემ სხვაგან ვერსად იპოვნით! მიკვირს, რატომ არ სცხვენია ავტორს იმ წერილისას, როცა ასე კერძო ინტერესებით გამსჭვალული მოსამსახურეებისადმი, არ ერიდება არაფერს, ივიწყებს თავს, ღალატობს პრინციპს და შეგნებულათ ,,პროვოკაციას'' ეწევა. ის ამბობს ღიმილით: ლაქიებს ორი ათასი წევრი ყავს, დანარჩენ კავშირებს-კი 40 და 45 და სხვა... იმედს აძლევს ჯალათ მთავრობას და ყველა ბურჟუებს მათი პარტიებით,—როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო... მისი ორგანოც დაუსახელა... ყველა ამაების შემდეგ, არ შემიძლია შეგნებული პროვოკატორი არ ვუწოდო, თუნდაც ეს მეტის-მეტათ ემწვავოს ვინმეებს... ბარაქალა, მიმადლებულო ლიტერატორო! ნაწერი თქვენი ჩქარა გამოიღებს ნაყოფს! მოვა დრო და თქვენ და თქვენს ძმებს აეხდებათ პირ-ბადე... მაშინ-კი ის თქვენ მიერ დამცირებული ,,ლაქიები'' ქალაქის დანარჩენ პროლეტარიატთან ერთათ დასდებს მსჯავრს თქვენს მოქმედებას... მანამდის კი იჭიკჭიკეთ კაბინეტში! ეხლა ამით ვათავებ თქვენთან საუბარს, და გთხოვთ პირბადე აიხადოთ და გვამცნოთ გაზეთის ფურცლებზე, თუ სხვაგვარ, ვისთან გვაქვს საქმე, უამისოთ მთელი რედაქციაა პასუხის მგებელი. „ბიჭი"—ნიკოიე—„ლაქია'''

შენიშვნა: ლაქიების კავშირი არ არსებობს ქალაქში, არსებობს მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი, სადაც შედიან: სტოლზე მოსამსახურენი, მზარეულები, მათი შემწენი, ოჯახის მოსამსახურეები, პადვლის მოსამსახურე მუშები და სხვა, განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და რწმენისა.

იგივე.

*) გურიაში ,,სარაკუნეს'' ეძახიან ხისაგან გაკეთებულ პაწია ზ-რის მსგავსს, რომელსაც ხბოს და სხვა საქონელს აბამენ ყელზე, რომ მწყემს არ გაუჭირდეს ღრე-კლდეებში ძებნა. ავტორი.

უმუშევრობა თბილისში.

—

თბილისში უმუშევართა მოძრაობა დაიწყო შარშან თებერვალ-მარტში, მაშინ, როდესაც ქალაქის თვითმართველობა ადგენდა პირველ სახელმწიფო სათათბიროში ამრჩევლების სიებს და ამ მუშაობისთვის დასჭირდათ კარგა ბლომათ ინტელიგენტური შრომის ხალხი. ინტელიგენტური უმუშევრები ასობით აწყდებოდენ ქალაქის გამგეობას, მაგრამ განსაზღვრულ სამუშაოზე მომუშავეთა განუსაზღვრელი რიცხვის მიღება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. ქალაქის გამგეობა თითო-ოროლას ღებულობდა, ძლიერ ხშირათ არა-უმუშევართა რიცხვიდან და ისეთებს, რომლებიც იმ რიგათ არ საჭიროებდენ სამუშაოს, როგორც დანარჩენები. ეს გარემოება ბადებდა უმუშევარ ინტელიგენტთა შორის დიდ უკმაყოფილებას. ბოლოს მათ მოითხოვეს, რომ გამგეობას სამუშაოზე მიეღო მხოლოდ „უმუშევრებისაგან'' და მორიგეობით, იმის და მიხედვით, თუ რომელი უფრო გაჭირვებული იქნებოდა მათში. ამასთანავე იმათ შეადგინეს ერთგვარი ორგანიზაცია: უმუშევართა სიაში შეჰქონდათ მხოლოდ ისეთები, რომლის უმუშევრობას და გაჭირვებულ მდგომარეობას რამდენიმე თავდაპირველათ სიაში შეტანილი უმუშევრები დაამოწმებდენ; ამათ აირჩიეს „ბიურო", რომელსაც მიანდვეს ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკების გამართვა. ცოტა ყოყმანის შემდეგ, გამგეობა დათანხმდა ინტელიგენტ უმუშევრების მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა; აგრე ადვილათ მოხთა ეს იმიტომ, რომ, ქალაქის სტატისტიკურ ბიუროს ხელმძღვანელის, ბ-ნ პ. მ. არღუთინსკის ურიგო მეთაურობის გამო, სამუშაო თავის დროზე ვერ თავდებოდა. მუშაობის უკანასკნელ კვირეებში სამუშაო იმდენი მოგროვდა, რომ საჭირო შეიქნა მომუშავეთა რიცხვის გაორკეცება და მათი მორიგეობით დილა-საღამოთი მუშაობა.

სამუშაოს ხელმძღვანელობა ფაქტიურათ უმუშევართა ხელში გადავიდა. სამუშაოზე იყო მიღებული სულ 150-მდე უმუშევარი ინტელიგენტი. მაგრამ ეს გაგრძელდა მანემდე, სანამ დასამუშავებლათ მოგროვილი აუარებელი მასალა უკვე შესრულებული იქნებოდა. შემდეგ-კი მუშაობის გაგრძელება გაცილებით უფრო ნაკლებ მომუშავეთ თხოულობდა. უთუოდ, ამ მოსაზრებით, ქალაქის გამგეობასთან შეთანხმებით, თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი მოულოდნელათ აცხადებს, რომ ყველა მომუშავენი დათხოვნილია და მუშაობას სწყვეტს; აგრეთვე სწყვეტს უმუშევართა „ბიუროსთან" ყოველგვარ მოლაპარაკებასაც. ყველასათვის აშკარა იყო, რომ მუშაობა გრძელდებოდა, მხოლოდ ბ. არღუთინსკის უმუშევართა ორგანიზაცია უნდოდა თავიდან მოეშორებინა. ინტელიგენტ უმუშევართა კრების დადგენილების თანახმათ, „ბიურომ" მოინდომა თავის უფლებების აღდგენა, ე. ი. მოთხოვნა, რომ მუშაობის გაგრძელება მათ ხელში დარჩენილიყო, მაგრამ ვერაფერი ვერ გააწყო. ამას ხელი შეუწყო თვით უმუშევართა-შორის აღმოჩენილ „შტრეიკბრეხერობამ'. ეს ვაჟ-და-ქალბიტონები წინააღუდგენ საერთო გადაწყვეტილებას მუშაობის მოწესრიგების შესახებ. ამის შემდეგ უმუშევარ ინტელიგენტთა ორგანიზაცია დაიშალა. ეს იყო დაახლოვებით აპრილის მეორე ნახევრის რიცხვებში.

მაგრამ უმუშევართა რიცხვი თან-და-თან მატულობდა. სწორეთ ამ დროს თბილისამდე მოაღწია ხმებმა, რომ რუსეთის დიდ ქალაქებში უმუშევართა მოძრაობა მატულობს და ღებულობს ორგანიზაციულათ მოწესრიგებულ ხასიათს. ამ ხმებმა აქაურ უმუშევართაც ჩაუნერგა გულში სურვილი,—საზოგადო მუშაობის მოწყობისა და, რაც დრო გადიოდა, იმდენათ ეს სურვილი თან-და-თან მეტ გარკვეულ ხასიათს ღებულობდა ამას ხელი შეუწყო იმ, შედარებით, თავისუფლების სიომ, რომელსაც დაჰბერა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დროს. მაისის დამლევ რიცხვებში ქალაქის გამგეობის საბჭოს ზალაში იმართება უმუშევრების კრებები, რომლებზედაც ესწრებიან, როგორც ინტელიგენტური პროფესიის, ისე დანარჩენ სხვა პროფესიების უმუშევრებიც. კრებებზე ირკვევა, რომ უმუშევართა რიცხვი დიდია, ირკვევა, რომ იმათ დასახმარებლათ საჭიროა საზოგადო მუშაობის მოწყობა. ივნისის პირველ რიცხვებში მუშებისა და ინტელიგენტების შეერთებულმა კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც მოლაპარაკება უნდა გაემართა ქალაქის საბჭოსთან საზოგადო მუშაობის მოწყობის შესახებ. ქალაქის საბჭოს კრებას, გარდა ამ კომისიის წევრებისა, დაესწრო ბევრი სხვა უმუშევრებიც. უმუშევრები თხოულობდენ შრომის უფლებას, თხოულობდენ ქალაქის თვითმართველობისაგან საზოგადო მუშაობის მოწყობას.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი დ. ბიბიბერია.

ელექტრონით მბეჭდავი „შრომა" ამხ.—სა, მიხეილის ქ. № 65.